ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 28 - 29 აპრილი, 2018

№99 (7644)

ფასი: 50 თეთრი

„თემირლან მაჩალიკაშვილს ხელში ტელეფონი ეჭირა და არა – ხელყუმბარა“ ადვოკატებმა ექსპერტიზის დასკვნა მიიღეს



გვ.7

19 აპრილიდან 120 ამბავი ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

გია ხუხაშვილი ივანიშვილის გუნდში ბრუნდება?

გვ.3

„მინდა ყველა დავამშვიდო, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრობას არ ვაპირებ“

დავით ჭიჭინაძე: „სუფრა ვინც გაშალა, მის გვერდით უნდა დაჯდე და მასპინძლად გამოჩენას არ შეეცადო“

გვ.2

„დეპუტატების ნაწილი კვირიკაშვილს არ ემორჩილებოდა“

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილის პრეზიდენტობა მოსალოდნელი არ არის“

გვ.4

„ოცნებას“ მოვუწოდებ, დასცხეთ ერთმანეთს, ბიჭებო!“

გვ.2

გვ.5

სოსო ცინცაძე: „შენგელის ზონაში უკანონო მიგრაციისთვის ადამიანის დაჭერა არ შეიძლება“

სამართალი

გვ.7

მურთაზ ზოდელავა: „პროკურატურა დასჯით მემუქრება – ტელეიმედის დარბევის საქმე შეკერილია“

სუს-ის მაღალჩინოსანი რამაზ ეჯიბია მოხსნეს

რა კავშირი აქვს ამასთან ეკა ბესელიას?

ეკონომიკა

გვ.6

რატომ არის სარისკო საქართველოში სამედიცინო ბიზნესი

ვახტანგ ბუცხრიკიძე: „ქართული საბანკო სექტორი დღეისთვის მდგრადი და მართვადია“

„ახალი რეგულაციების გამო, ბაზრის ბევრ მოთამაშეს ბიზნესმოდელის შეცვლა მოუწევს“

ISSN 1987-9385

5 ანზორ აბრალავა: „მარჩენალი ვერ გვიშველის“

4 ზაზა პაპუაშვილი: „როგორც ერთი დღე მეორე დღეს არ ჰგავს, ასე იქნება ბიძინა ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარის რანგში დაბრუნება“

3 ნუკრი ქანთარია: „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო, რომელიც არაქმედითი იყო, ახალ სიცოცხლეს შეიძენს“

4 19 პარტია პრეზიდენტს მიმართავს, პარტიათა დაფინანსების შესახებ კანონში ცვლილებებს ვეტო დაადოს

„ოცნებას“ მოვუწოდებ, დასცხეთ ერთმანეთს, ბიჭებო!“

კახა კუკავა: „ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ განტევების ვაცი თავად იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

– ბატონო კახა, რატომ დაბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში, იმდენად მძიმეა სიტუაცია, რომ სხვა გზა არ იყო?

– ჩვენ გვყავს ჩვენი სარგსიანი ივანიშვილის სახით. ეს არის ადამიანი, რომელიც აპირებს უსასრულოდ ხელისუფლებაში დარჩენას და ამიტომაც იყენებს ამ ტექნოლოგიას. ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ხელისუფლებაში დარჩნენ ორ ვადაზე მეტი ხნით, მუდმივად იცვლიან თანამდებობებს და პოზიციებს. ამის ბევრი სხვადასხვა ვარიანტია, არის პუტინის და სარგსიანის ვარიანტი, როცა ჯერ პრეზიდენტი იყო და მერე პრემიერობას აპირებდა. იგივეს აპირებდა სააკაშვილიც.

– ივანიშვილი რას აპირებს?

– ბიძინა ივანიშვილი წავიდა კადაფის გზით. ისიც ზუსტად ასე იყო. მასაც გარკვეული პერიოდი ეკავა თანამდებობა, შემდეგ იყო არაფორმალური მმართველი. ბიძინა ივანიშვილი რომ ყოფილიყო ევროპული ტიპის მმართველი, ის მოვიდა 2012-ში და წავიდოდა 2020-ში. თუმცა ის წასვლას კი არ აპირებს, 2020-ში მეორედ მოსვლას აპირებს.

– ანუ ეს ყველაფერი 2020-ს უკავშირდება?

– რა თქმა უნდა, თუ ის პარტიის ხელმძღვანელად მოვა, შესაძლებელია, საპრეზიდენტო არჩევნებშიც იყაროს კენჭი. რას გადაწყვეტს, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ფაქტი არის, რომ ადამიანი, რომელიც 2012-დან მართავს ქვეყანას და, დემოკრატიული სტანდარტის მიხედვით, 2020-ში უნდა დაეტოვებინა ხელისუფლება, 2020-ის მერეც აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას.

– ანუ არ გამორიცხავთ, რომ გახდეს პრეზიდენტი?

– არ გამოვრიცხავ არანაირად, მას უნდა, რომ ხელისუფლებაში დარჩეს სამუდამოდ, სანამ არ დაამხობენ და საბრალდებო სკამზე არ დასვამენ.

– ანუ ის დაძაბულობა პარტიის შიგნით, დაპირისპირება და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია?

– პარტიის შიგნით არსებული დაძაბულობა მას შეეძლო მოეგვარებინა თავმჯდომარის პოსტის დაკავების გარეშე, თუ მოინდომებდა. თუმცა მან გადაწყვიტა, რომ ხელისუფლების სათავეში მისი პოზიციები შერყეულია, ეს იყო მისი ბოლო სვლა და ამით აღიარა, რომ „ოცნება“ არის კრიზისში.

– ოპოზიცია გეგმავს საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთიანი კანდიდატით გამოსვლას. რა იქნება ამ გადაწყვეტილების შემდეგ?

– ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის გამოვლენა ძალიან რთულია ამ ეტაპზე, ამიტომ ჩვენ, ჩვენს პარტნიორ პარტიებთან ერთად ვმუშაობთ იმაზე, რომ მაისში დავასახელოთ ეროვნული ძალების მხრიდან ერთიანი კანდიდატი.

– „ოცნებაში“ დიდ წმენდას აანონსებენ. ეს საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოხდება?

– თუ მსგავსი პროცესები დაიწყება, ამას მხოლოდ მივესალმები. რაც უფრო მეტი არეულობა იქნება „ოცნებაში“, მით უკეთესია. „ქართული ოცნება“ არის საქართველოს მტრების ორგანიზაცია, იგივე, რაც იყო მოქალაქეთა კავშირი და ნაციონალური მოძრაობა. ამიტომაც „ოცნების“ ორივე ფლანგს მოვუწოდებ: ბიჭებო, დასცხეთ ერთმანეთს!

– ივანიშვილის დაბრუნება რამდენად გამოასწორებს „ოცნების“ იმიჯს?

– არა მგონია, გამოასწოროს. შესაძლოა, ერთგვარად კიდეც დააზარალოს. იმიტომ, რომ „ოცნების“ იმიჯი ისედაც ბიძინა ივანიშვილის იმიჯი იყო. ეს არის სადღაც დაახლოებით 10-15% ქართველი ამომრჩევლის.

– ივანიშვილმა ამ დაბრუნებით პრობლემები აღიარა?

– კი, რა თქმა უნდა, ეს არის პრობლემების აღიარება. თუმცა არა მგონია, მისმა დაბრუნებამ სიტუაცია შემოაბრუნოს. რა უნდა თქვას ივანიშვილმა?! დღეს არავის სჯერა, რომ ის, რაც ქვეყანაში ხდება, კვირიკაშვილის ბრალია, ან კალაძის ბრალია, ან თუნდაც კობახიძის! ყველა კარგად ხვდება, რომ მართვის სადავეებთან იყო ივანიშვილი. აქედან გამომდინარე, მე იმედი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი გასცემს ახალ დაპირებებს, მათ შორის ფინანსურსაც, რაც გამოიწვევს ხალხის გაღიზიანებას. ამიტომ ივანიშვილსაც მოვუწოდებ: გაეცი ახალი დაპირებები და შენ ნახავ, რას ნიშნავს გაჭირვებული და გაბრაზებული ადამიანები!

– ეს დაპირებები აღარ იმუშავებს?

– შუაზე გაგლეჯენ! იმუშავებს აბსოლუტურად კონტრპროდუქტიულად! ადამიანის ფსიქოლოგიაა ასეთი. 2012 წელს უკიდურეს გაჭირვებაში მყოფმა ადამიანებმა მილიარდერს ხმა მისცეს, მის ბანკში ფული შეჰქონდათ, ხოლო ეს მილიარდერი ჰპირდებოდა, როგორც კი მოვალ, თქვენს ბანკების სესხებს მივხედავ, ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებო. არათუ არ მიხედა, ბოლომდე გაფცქვნა ეს ხალხი. ახლა იგივე თაღლითი და მევახშე რომ გამოვა და იტყვის, რომ კიდევ მომეცით ხმა და დაიწყებს ახალ დაპირებებს, ამას არ ვიცი, რა მოჰყვება. მე მგონია, რომ ქართველი კაცი გამოაჩენს თავის ხასიათს და ბიძინა ივანიშვილს მიუჩენს ადგილს იქ, სადაც დიქტატორების ადგილია!

– ასე პირდაპირ დადგება ივანიშვილი განრისხებული ხალხის პირისპირ? არც ასეთი სულელია. იქნებ მას უკვე ჰყავს განტევების ვაცი?

– სწორედ რომ სულელია. ჩვენ ვნახეთ სულ ბოლო, სარგსიანის მაგალითიც. ასეთი მაგალითები ხშირად ხდება. მესამე ვადით მოინდომებ დარჩენას და გამხობენ. თუმცა მაინც ყველას უნდება ეს მესამე ვადა. დიქტატორებისთვის ეს გაკვეთილი არ მუშაობს.

ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც არ შეუძლია პოლიტიკური აზროვნება, კარგად უნდა იცოდეს, რომ განტევების ვაცი ყოველთვის არის პირველი პირი! შევარდნაძე ძალიან ბევრს ჩალიჩობდა, რომ შიდა გადაჯგუფების და ბალანსირების გზით შეენარჩუნებინა ძალაუფლება, მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა? მოქალაქეთა კავშირი სრულად დარჩა ხელისუფლებაში, განტევების ვაცი გამოდგა შევარდნაძე.

სააკაშვილიც ცდილობდა იგივეს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ერთადერთი, ვინც განტევების ვაცი გამოდგა, არის სააკაშვილი. მისი ყველაზე ერთგული გუნდი მას გაემიჯნა და განტევების ვაცი გახდა სააკაშვილი!

ასე მოუვა ყველას.

დავით ჭიჭინაძე: „სუფრა ვინც გაშალა, მის გვერდით უნდა დაჯდე და მასპინძლად გამოჩენას არ შეეცადო“

„დეპუტატების ნაწილი კვირიკაშვილს არ ემორჩილებოდა“

შორენა მარსაგიშვილი

პარტიის შიგნით არსებულ დაპირისპირებას მეოცნებეები კარგა ხნის მანძილზე მალავდნენ. ეს სააშკარაოზე დეპუტატ გედი ფოფხაძის გადაწყვეტილებამ გამოიტანა – ის პარტიიდან აპირებდა წასვლას. მის გადარწმუნებას მთავრობის მეთაური შეეცადა. გიორგი კვირიკაშვილმა „ოცნების“ სხვა ლიდერებსაც სთხოვა, რომ ფოფხაძესთან დაკავშირებით მკვეთრ განცხადებებს მორიდებოდნენ.

დეპუტატების ნაწილმა ეს მოთხოვნა არ შეისმინა და დაიწყო ფოფხაძის გმობა, რასაც უკვე დეპუტატ დავით ჭიჭინაძის გააქტიურება მოჰყვა. მან პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომაც კი მოითხოვა და სიტუაცია ისე დაძაბა, რომ ივანიშვილი პარტიაში დაბრუნდა.

დავით ჭიჭინაძე ყოფილი პრემიერის დაბრუნებას დადებითად აფასებს, ამასთან მიაჩნია, რომ ამაში მას არანაირი წვლილი არ შეუტანია. იმედოვნებს, რომ პარტიაში ახლა ყველაფერი კარგად იქნება.

იწყება თუ არა „ოცნებაში“ დიდი წმენდა, რა პრობლემები შეექმნა პრემიერ-მინისტრს დეპუტატებთან, გაბედავს თუ არა „ოცნების“ ლიდერების ნაწილი ივანიშვილის ნების წინააღმდეგ წასვლას, – ამის შესახებ მეამბოხე დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ბოლო რამდენიმე კვირა თქვენ ძალიან აქტიური იყავით და ძალიან მწვავე განცხადებებს აკეთებდით.

– არ მიმაჩნია, რომ მწვავე განცხადებებს ვაკეთებდი. მე მხოლოდ იმ რეალობას ავსახავდი, რაც პარტიაში იმ მომენტისთვის იყო.

– ამას სერიოზული დაპირისპირება მოჰყვა.

– მე არ ვთვლი, რომ ეს დაპირისპირება იყო. ყველა საკუთარ აზრს გამოხატავდა.

– მას შემდეგ, რაც ყველამ გამოხატეთ აზრი, ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ ივანიშვილს პარტიაში დაბრუნება მოუწია.

– რა სჭირდა ივანიშვილს დასაბრუნებელი. ეს პარტია მის მიერ არის შექმნილი. მისი დაბრუნება მხოლოდ მისასალმებელია.

– ამბობენ, რომ მის დაბრუნებაში თქვენმა აქტიურობამაც შეიტანა თავისი წვლილი.

– აქ მთავარი ჩემი აქტიურობა არ არის. მთავარია, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია.

– თქვენ მისი დაბრუნებით აშკარად კმაყოფილი ჩანხართ.

– მარტო მე არა ვარ კმაყოფილი. ამით ყველა კმაყოფილია.

– ბევრი ფიქრობს, რომ ყოფილი პრემიერის დაბრუნების შემდეგ, „ოცნებაში“ წმენდა დაიწყება. თქვენც ელოდებით წმენდას?

– არავითარი წმენდა. არ მინდა, ასეთი ინტერპრეტაცია მიეცეს. „ოცნებაში“ ისე არ დგას საქმე, რომ წმენდის ჩატარება იყოს საჭირო. ვიღაცა, შესაძლოა, ჩრდილში მოექცეს, მაგრამ ეს ალბათ არავის ეწყინება.

– დარწმუნებული ხართ, რომ არ ეწყინებათ?

– ბიძინა ივანიშვილის ჩრდილში თუ მოექცევი, რატომ უნდა გეწყინოს? არა მგონია, ეს „ოცნებაში“ ვინმესთვის საწყენი იყოს. „ქართული ოცნება“ მისი დამსახურებით შეიქმნა. ის რომ არა, ეს პარტია არ იქნებოდა.

მის დაბრუნებას ყველა დადებითად შეხვდა. კმაყოფილები არიან ის ადამიანებიც, ვინც 2012 წელს „ოცნებას“ უჭერდა მხარს. ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება პარტიის ერთობას გაამყარებს.

ივანიშვილის ჩრდილის ქვეშ ყოფნა არავის ეწყინება და, აქედან გამომდინარე, ვიღაცებს ამბიციების გვერდზე გადაწევა გაუიოლდებათ. ამბიციები გვერდზეა გადაწეული. ახლა ივანიშვილს უნდა დავუდგეთ გვერდით და ხალხს დანაპირები შევუსრულოთ.

– ამბიციები ახსენეთ და ვისმა ამბიციებმა გადაიწია, პარტიის ლიდერების? თქვენ რამდენიმე მათგანს მწვავედ აკრიტიკებდით.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ხუხაშვილი ივანიშვილის გუნდში ბრუნდება?

„მინდა ყველა დავამშვიდო, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრობას არ ვაპირებ“

შორენა მარსაგიშვილი

სამთავრობო პარტიაში მღელვარება ვერც ბიძინა ივანიშვილის მეორედ მოსვლამ ჩააცხრო. ამჯერად პარტიის ლიდერები იმაზე ნერვიულობენ, რომ რამდენიმე მათგანს შესაძლოა პოლიტსაბჭოს დატოვება მოუწიოს.

ისედაც დაზაფრულ მეოცნებეებს გია ხუხაშვილთან დაკავშირებული ინფორმაცია თავზე მეხივით დაეცათ. გავრცელებული ინფორმაციით, ივანიშვილის ახალ გუნდში აუცილებლად იქნება ხუხაშვილი. „ოცნების“ კულუარებში ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, რომ ეს ადამიანი შესაძლოა პოლიტსაბჭოს წევრიც გახდეს.

მმართველ პარტიაში ჯერ არ იციან, როდის გაიმართება პოლიტსაბჭოს სხდომა. სამაგიეროდ იციან იმ პირთა ვინაობა, ვისაც წასვლა მოუწევს.

პარტიული თანამდებობა შესაძლოა დატოვოს თბილისის მერმა კახა კალაძემ. მას, სავარაუდოდ, თან მიჰყვება პარლამენტის სპიკერი ირაკლი კობახიძე.

შემცირებაში მოყოლის კანდიდატები არიან: აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე, ევროკავშირის მხრიდან მთავრობის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა მთავარი მრჩეველი დავით კოღუაშვილი. ეს უკანასკნელი 2 წლის წინ კინაღამ პარტიიდან გარიცხეს.

დავით კოღუაშვილი გიორგი კვირიკაშვილის კადრია და საპარლამენტო არჩევნებისთვის

მას საარჩევნო სიის პირველ ათეულში ადგილი გარანტირებული ჰქონდა და საკანონმდებლო ორგანოში ერთ-ერთ საკვანძო თანამდებობასაც დაიკავებდა. თუმცა პარტიის ყრილობის შემდეგ მედიასთან საუბარში გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი დადებითად მოიხსენია. ამან მისი პოლიტიკური კარიერა კინაღამ დაასამარა.

პოლიტსაბჭოდან შესაძლოა კობახიძე-კალაძის დაჯგუფების წევრები, დეპუტატები

მამუკა მდინარაძე, ირინე ფრუიძე, სოფო კილაძე, აკაკი ზოიძე გაუშვან. საბჭოს შემადგენლობაში დარჩებიან გიორგი კვირიკაშვილი, გია ვოლსკი, ზვიად კვაჭანტირაძე, ეკა ბესელია, ირაკლი სესიაშვილი, გედევან ფოფხაძე, ირაკლი ტრიპოლსკი და თემურ ჭკუასელი.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი და „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ გადახალისება საჭიროა. ახალ შემადგენლობაზე მონახაზი არ აქვს. ერთ რამეში დარწმუნებულია – მთავრობის მეთაური პოლიტსაბჭოში უნდა დარჩეს.

– კვირიკაშვილი უნდა იყოს პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში. ის არის სამეურნეო ხელმძღვანელი, რომელიც უახლოესი პერიოდის განმავლობაში საკმაოდ ამბიციურ გეგმებს ისახავს. ამ გეგმების რეალიზაცია არის მთელი მთავრობის ამოცანა, სადაც საკვანძო როლს შეასრულებს პრემიერ-მინისტრი. ვფიქრობ, რომ ის წარმოდგენილი უნდა იყოს პოლიტსაბჭოში, თუმცა არ ვიცი, კონფიგურაცია და შინაარსი ამ პოლიტსაბჭოში როგორი იქნება და რა პრინციპზე იქნება აგებული, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ასეთივე თავგამოდებით ის პარლამენტის სპიკერს და თბილისის მერს მხარს არ უჭერს. თუმცა მიაჩნია, რომ პოლიტსაბჭოში კახა კალაძის და ირაკლი კობახიძის ყოფნაც აუცილებელი და საჭიროა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანიშვილის დაბრუნების შემდეგ, „ოცნებაში“ გია ხუხაშვილის მეორედ მოსვლაზეც ალაპარაკდნენ. ხუხაშვილი ივანიშვილის ორბიტაზე შესაძლოა მართლაც დაბრუნდეს, მაგრამ პოლიტსაბჭოში შესვლას არ აპირებს.

– არ ვიცი, საიდან გავრცელდა ეს ხმები. ვინც ამის გამო აღელდა, უნდა დავამშვიდო, „ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრობას არ ვაპირებ. ჩემთვის პოლიტიკური თანამდებობა საინტერესო არ არის. გაცილებით მნიშვნელოვანია თავისუფლება, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში გია ხუხაშვილი.

2011-2013 წლებში ხუხაშვილი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკაში. ის დიდი გავლენით სარგებლობდა ივანიშვილის კარზე. ამის გამო „ოცნების“ ბევრი ლიდერი ნერვიულობდა. მის საწინააღმდეგოდ ჭორებსაც ხშირად ავრცელებდნენ. როცა წამოვიდა, თქვეს, რომ ივანიშვილმა გამოუშვა.

– ამბობენ, რომ გამომიშვეს, „ოცნებიდან“ ჩემი ნებით წამოვედი. თავიდან პოლიტიკაში იძულებით ჩავერთე. 2011 წელს ისეთი სიტუაცია იყო ქვეყანაში, რომ ივანიშვილს გვერდით უნდა დავდგომოდით. იმ პერიოდში ვთქვი, რომ როგორც კი ეს ციკლი დასრულდებოდა, მე წამოვიდოდი „ოცნებიდან“. ეს განცხადება ახლა აღარ ახსოვთ.



სისტემაში ყოფნა რომ მდომებოდა, იქ ვიყავი და არ წამოვიდოდი. მე სისტემაში მუშაობა არ შემიძლია და ჩემი მთავარი ფასეულობა თავისუფლებაა, ჩინოვნიკობა არ გამომივა. თავისუფლების შეზღუდვა ყველაზე დიდი ტრაგედიაა ჩემთვის. შესაბამისად, სისტემაში ვერ ვიმუშავებ. ასე რომ, ვინმე ჩემ მიერ რაიმე თანამდებობის დაკავების გამო თუ ნერვიულობს, შეუძლია მშვიდად იყოს, – ამბობს ექსპერტი.

წამოსვლის შემდეგ ხუხაშვილი ხელისუფლებას ძალიან მწვავედ აკრიტიკებდა. ივანიშვილის მიმართ კი ყოველთვის დადებით პოზიციას აფიქსირებდა. აპროტესტებდა, „ოცნება“ ყოფილი პრემიერის ზურგზე რატომ პარაზიტირებსო.

ბოლო დროს ხშირად საუბრობდა პოლიტიკაში მისი დაბრუნების აუცილებლობაზე. რამდენიმე დღის წინ ისიც თქვა, რომ მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი სწორედ ივანიშვილი უნდა იყოს.

პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნებას ხუხაშვილი სიხარულით შეხვდა და მზად არის, ისევ დადგეს მის გვერდით.

– არანაირი თანამდებობა არ მაინტერესებს. ერთადერთი, რაც შემიძლია, ისაა, ვიყო ისე, როგორც ადრე ვიყავი ჩართული. ბიძინა ივანიშვილმა იცის ჩემი დამოკიდებულებები. იცის, რომ მე მხარს ვუჭერ ამ ადამიანს. ბიძინა ივანიშვილი იქნება თუ სხვა ვინმე და სასარგებლოს გააკეთებს ჩემი ქვეყნისთვის, მას ჩემი მხარდაჭერა ექნება, – ამბობს ხუხაშვილი.

ჩვენს კითხვაზე, პირველ რჩევას რას მისცემდა ივანიშვილს, ასე პასუხობს:

– სისტემური ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. ჩვენ დიდი ხანია უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ სახელების და გვარების ცვლილებით არაფერი იცვლება.

ხუხაშვილის აზრით, რაკი ყოფილმა პრემიერმა პოლიტიკაში დაბრუნება გადაწყვიტა, საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მონაწილეობა აუცილებელი აღარ იქნება.

– მე ვფიქრობდი, რომ საპრეზიდენტო ფორმა შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო, თუმცა ეს არ არის ახლა პრინციპული საკითხი. მთავარია, რომ მას მოეხდინა რეინტეგრაცია პოლიტიკაში, ფორმალიზება, ასე რომ ვთქვათ. რა ფორმით, ეს უკვე მისი გადასაწყვეტი იყო. მთავარი იყო, რომ მან ეს ნაბიჯი გადადგა და ფორმა თვითონ აარჩია, – ამბობს ხუხაშვილი.

ექსპერტის თქმით, ივანიშვილს სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება არ სჩვევია. მის დაბრუნებას მმართველ პარტიაში შექმნილ კრიზისს უკავშირებს, რომელიც უკვე ქვეყნისთვის ხდებოდა პრობლემა.

გია ხუხაშვილის აზრით, ივანიშვილი პარტიაში აუცილებლად აღადგენს დისციპლინას და ამისთვის პარტიის თავმჯდომარეობაც საკმარისია.

– არ ვფიქრობ, რომ ივანიშვილს სჭირდება რაიმე თანამდებობა, რაში სჭირდება?! მმართველი პარტიის თავმჯდომარეობა უკვე საკმარისია იმისთვის, რომ აღადგინოს დისციპლინა.

სახელმწიფოებრივად პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნება სწორი გადაწყვეტილება იყო და მე ვფიქრობ, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაც. სერიოზულ მმართველობით კრიზისში შევდიოდით და ეს უკვე სახელმწიფოებრივი არასტაბილურობის რისკებს აჩენდა.

მისი გადაწყვეტილება, აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად სწორია. რაც მმართველ გუნდში ხდებოდა, ეს იყო უკვე არა შიდა დაპირისპირება, არამედ ქაოსი, – დასძინა ექსპერტმა.

ნუკრი ქანთარია: „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო, რომელიც არაქმედითი იყო, ახალ სიცოცხლეს შეიძენს“

პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო, რომელიც არაქმედითი, ფუნქციადაკარგული და შეიძლება ითქვას, პარალიზებული იყო, თვისობრივად ახალ სიცოცხლეს შეიძენს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ განუცხადა.

ქანთარია ამბობს, რომ მისთვის უცნობია, რა ტიპის პერსონალური და სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება პარტიის ხელმძღვანელ რგოლში, თუმცა მისი თქმით, ცვლილებები აუცილებლად იქნება.

– მთავარია, რომ უპირობო ლიდერი დაუბრუნდა საქმეს, რომელიც თავის დროზე მან დაიწყო. იმედი მაქვს, რომ „ქართული ოცნება“ თავის ფესვებს და თავის საწყის დაუბრუნდება. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს მთელს ამ პროცესში გიორგი კვირიკაშვილის განსაკუთრებული წვლილი. პარტიის პოლიტსაბჭო იყო არაქმედითი, ფუნქციადაკარგული და შეიძლება ითქვას, პარალიზებული – პარტიის უმაღლესი ორგანო ყრილობიდან ყრილობამდე თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა. იმედი მაქვს, პოლიტსაბჭო გახდება ქმედითი და მის შემადგენლობაში იქნება თვისობრივი განახლება. ამავე დროს, მიმაჩნია, რომ პოლიტსაბჭო ერთი ვიწრო ტიპის კრებული არ უნდა იყოს. მასში უნდა იყოს განსხვავებული ხედვის მქონე ხალხი, რაც პარლამენტშიც გამოიკვეთა – ოღონდ ერთი მიზნისაკენ მიმავალი. ბიძინა ივანიშვილი შეძლებს ამ აზრებიდან გარკვეულ ჭეშმარიტებამდე და გადაწყვეტილებამდე მივიდეს. ეს მას ეხერხება და ამას იოლად გააკეთებს, – აცხადებს ნუკრი ქანთარია.

შეგახსენებთ, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის რანგში ბრუნდება, რაც მაისის დასაწყისში დაგეგმილ ყრილობაზე ოფიციალურად გაფორმდება.

დავით ჭიჭინაძე: „სუფრა ვინც გაშალა, მის გვერდით უნდა დაჯდე და მასპინძლად გამოჩენას არ შეეცადო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ყველა ადამიანს, ვისაც რაღაც თანამდებობა უკავია, ამბიციებიც გააჩნია. ეს არ არის ახალი. უბრალოდ, არის ასეთი წესი, სუფრა ვისი გაშლილიც არის, მის გვერდით უნდა დაჯდე და მასპინძლად გამოჩენას არ შეეცადო.

სწორედ ამიტომ სთხოვა პარტიამ ივანიშვილს დაბრუნება. ის დაბრუნდა და ყველაფერი დალაგდება. მისი დაბრუნებით ყველა კმაყოფილია, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტუაცია უკვე დალაგდა.

– ოპოზიცია ამბობს, რომ დალაგება ასეთი იოლი არაა და „ოცნება“ კრიზისშია.

– არანაირი კრიზისი „ქართულ ოცნებაში“ არ არის. ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. განსხვავებული აზრის გამოხატვა იმას არ ნიშნავს, რომ პარტიაში რაღაც ცუდი ხდება.

ივანიშვილის დაბრუნების შემდეგ, კიდევ უფრო კარგად წავა საქმეები პარტიაში. საკუთარი აზრის გამოხატვას ყველა შეძლებს, მაგრამ პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებების რევიზირება აღარ მოხდება.

– თქვენ ეს განცხადება იმ დღესაც გააკეთეთ, როცა ივანიშვილის დაბრუნების შესახებ გახდა ცნობილი. უფრო კონკრეტულად თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა ხდება?

– ყრილობის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი გახდება პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე. იქიდან გამომდინარე, რომ ის არის ამ პარტიის დამფუძნებელი და დიდი ავტორიტეტი აქვს, მისი გადაწყვეტილებების რევიზირებას ვერავინ შეძლებს.

– მის დაბრუნებამდე პარტიის თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილი იყო. გინდათ თქვათ, რომ მის გადაწყვეტილებას არ ემორჩილებოდნენ?

– არ ემორჩილებოდნენო, არ მითქვამს. ვთქვი, რომ პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებების რევიზირებას ვეღარავინ გაბედავს.

– კვირიკაშვილის გადაწყვეტილებების რევიზირებას ვინ ახდენდა?

– გედევან ფოფხაძემ პარტიიდან გასვლის გადაწყვეტილება საკმაოდ ემოციურად გააჟღერა. მის გადარწმუნებას შეეცადა გიორგი კვირიკაშვილი. ის დაელაპარაკა მას და დარჩენა სთხოვა. სხვა დეპუტატებსაც ურჩია, რომ სიტუაცია არ გაემწვავებინათ. შედეგად რა მივიღეთ, ზოგიერთი დეპუტატი გამოვიდა და გედევანზე დაიწყეს განცხადებების გაკეთება.

„ივანიშვილის გადაწყვეტილების რევიზირებას ვერავინ გაბედავს“

– კობახიძე გყავთ მხედველობაში?

– ფოფხაძეზე ის დეპუტატებიც საუბრობდნენ, ვისაც პარტიაში არანაირი თანამდებობა არ ეკავათ. მათ ამით მოახდინეს პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გადახედვა, რაც არასწორი და ულამაზო იყო. ახლა ივანიშვილი იქნება პარტიის თავმჯდომარე და ამას ვეღარავინ გააკეთებს.

– გავრცელებული ინფორმაციით, პოლიტსაბჭოს გადახალისება მოხდება. ამბობენ, რომ, შესაძლოა, იქედან კახა კალაძე და ირაკლი კობახიძე წავიდნენ.

– არავის წასვლაზე არ ყოფილა საუბარი. მხოლოდ ის ითქვა, რომ პოლიტსაბჭო უნდა გადახალისდეს და შემცირდეს. რაც უფრო ცოტა ხალხი იქნება პოლიტსაბჭოში, მით უფრო მობილურად იმუშავებს ის. პარტიაც უფრო მობილური იქნება. ივანიშვილის დაბრუნება ძალიან მალე გამოიღებს თავის დადებით შედეგს.

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილის პრეზიდენტობა მოსალოდნელი არ არის“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას უაღრესად დადებითად აფასებს.

– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას უაღრესად დადებითად ვაფასებ. ივანიშვილის მიმართ დღეს, საერთოდ, ბევრი დაუსაბუთებელი და აბსურდული კრიტიკა ისმის. მე კი მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი არის უდიდესი ქველმოქმედი საქართველოს ისტორიაში. ბიძინა ივანიშვილის ყველაზე დიდი ქველმოქმედება საakაშვილის სადისტური რეჟიმის დამარცხებაც იყო, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ პეტრე მამრაძემ.

– ბატონო პეტრე, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების ფაქტს როგორ აფასებთ? იყო თუ არა მოსალოდნელი პოლიტიკაში მისი დაბრუნება?

– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას უაღრესად დადებითად ვაფასებ. ხაზგასმით მინდა ვთქვა, ივანიშვილის მიმართ დღეს, საერთოდ, ბევრი კრიტიკა გაისმის, დაუსაბუთებელი და აბსურდული. მე კი მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი არის უდიდესი ქველმოქმედი საქართველოს ისტორიაში. ბიძინა ივანიშვილის ყველაზე დიდი ქველმოქმედება ისიც იყო, რომ მან მიზნად დაისახა და მიაღწია კიდევაც საakაშვილის სადისტური რეჟიმის დამარცხებას. ბიძინა ივანიშვილის ამ ფორმით, პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნებას არა მარტო მივესალმები, არამედ მოსალოდნელი იყო.

– რატომ იყო ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება მოსალოდნელი?

– თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი წავიდა პრემიერმინისტრობიდან და პარტიის თავმჯდომარეობასაც ჩამოშორდა. ამბობდა, რომ ჩემი მთავარი მიზანი, ჩემი მთავარი მისიაა, საქართველოში აღარ იყოს მესია. მისი წასვლის შემდეგ დარჩა გუნდი (პირობითად ვუწოდოთ გუნდი, პოლიტიკური პარტია არ არის, სადაც ადამიანები საერთო მრწამსით არიან შეერთებულნი, საერთო იდეალები და იდეები აქვთ. საქართველოში პარტიის მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა. ამის პირობები არ არის), რომლის ძირითადი ნაწილი პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის არის შესული – დაწყებული მაღალი ხელფასებით, პრემიების მიღებით, ავტომობილების მომსახურებით, დამთავრებული უფრო მასშტაბური ფულის კეთების ჟინით.

– პირადი გამდიდრების ჟინით შეპყრობილ ადამიანებს გადაეკეტებათ გზები?

– ნაკლებად. ნებისმიერ ქვეყანაში, თუნდაც მცირერიცხოვანში, როგორიც არის საქართველო, ერთ ადამიანს, თუნდაც ივანიშვილს, არ შეუძლია შეცვალოს (სამმილიონიან საქართველოში) სოციალური ვითარება და არსებული ქსელები. როდესაც ივანიშვილის წასვლის შემდეგ, გუნდში ადამიანებმა რომ იცოდნენ, სადღაც ზის პატრონი, ხაზეინი ის არის, მას აქვს რესურსი და მის გარეშე არაფერი მოხდება, მაგრა გამოდის, რომ ვიღაც იწყებდა მართვას მისი სახელით.

– ვინ იწყებს მართვას?

– ვთქვათ, კვირიკაშვილი იქნება თუ კობახიძე, რომლებიც თამამ განცხადებებს აკეთებდნენ და ამბობდნენ, ქართველ ხალხს მოუწევს იმის კეთება, რასაც მე და ივანიშვილი ვეტყვითო. ამ დროს სხვები ღიზიანდებოდნენ. მათ პირადად ივანიშვილთან არავითარი წვდომა არ ჰქონდათ. ისინი ხომ იკითხავდნენ, კი მაგრამ, რომ ამბობთ, ასეა საჭიროო, რატომ ამბობთ ამას? ეს გითხრათ ივანიშვილმა? ამას თუ ამბობს, ჯერ ერთი, რატომ უნდა დაგიჯეროთ და, მეორე, ეგებ იმიტომ გეუბნებათ ამას, რომ თქვენ მიგაქვთ ისეთი ინფორმაცია, შემდეგ ეს გითხრათ. დაგველაპარაკოს, ჩვენ ჩვენსას ვეტყვითო. ანუ, ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილთან პირდაპირი კონტაქტი უმრავლესობიდან ძალიან ბევრს უნდა. ამას ახლდა არსებული დაპირისპირება, ერთმანეთის ლანძღვა, კრიტიკა.

– ახლა დამთავრდება ჩრდილოვან მმართველობაზე ლაპარაკი?

– შემცირდება, რადგან ივანიშვილი არ ხდება არც პრემიერი, არც პრეზიდენტი.

– შეიძლება პრეზიდენტი გახდეს. გამორიცხულია?

– ივანიშვილის პრეზიდენტობა ნაკლებად არის მოსალოდნელი. მე რაც ვიცი, მისთვის მიუღებელია სამსახურში სიარული, კაბინეტში ჯდომა. მას აქვს საყვარელი საქმე. მას აქვს წლების განმავლობაში გამომუშავებული დღის წესრიგი და გრაფიკი. ვიცი, რომ პრემიერიც რომ იყო (მე ეს ვიცი, რადგან კანცელარიის საქმიანობა, პრემიერის აპარატის მუშაობა ჩემთვის უცნობი არ არის) კანტიკუნტად მიდიოდა, დოკუმენტებს არ ეკარებოდა, დოკუმენტები გროვდებოდა და ერთი ამბავი იყო. თვითონ კი დღეებს ითვლიდა.

ნათქვამი ჰქონდა, საakაშვილი რომ წავა, მაშინვე წავალო და შეასრულა. შეგახსენებთ, რამდენი ადამიანი ამბობდა, არსად წამსვლელი არ არის, პრემიერის სავარძელში ჩაჯდა, ახლა როგორ წავაო. იგივე ადამიანები შემდეგ ბღაოდნენ, არ უნდა წასულიყო, უნდა დარჩენილიყოო. ეს საქართველოა და ჩვენი საზოგადოების დონეა ასეთი.

ახლა სამ თვეში ერთხელ, ან თუ საჭიროებამ მოიტანა უფრო ხშირადაც, მოეწყობა შეკრება. იქ „ოცნების“ წევრები და სხვები იქნებიან. მმართველები იტყვიან, ჩვენ კი არ გეტყვით, ცოცხლად გეტყვის ბატონი ბიძინა ყველაფერსო.

ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ბიძინა ივანიშვილს წლების განმავლობაში უმრავლესობის წევრები და ცნობადი სახეები სთხოვდნენ დაბრუნებას. კვირიკაშვილს ძალიან გაუხარდა, რომ ბიძინა ივანიშვილი დაბრუნებაზე, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა, შენს მოქმედებას და სიტყვას სკეპტიკურად რომ ხვდებიან, აგერ თვითონ ბიძინაა და სათქმელს თვითონ იტყვისო.

– ახლა განხეთქილება ჩაცხრება?

– ვფიქრობ, ახლა უმრავლესობაში განხეთქილება ჩაცხრება. თუ ვინმე „გადახტება“ – არ არის მოსალოდნელი, მაგრამ მაინც...

– გადახტება?

– სიტყვა „გადახტომა“ იმიტომ ვიხმარე, გახსოვთ, ალბათ, ივანიშვილმა ირაკლი ალასანია რომ დასაჯა და დატუქსა – ვიცე-პრემიერის ფორმალური სტატუსი ჩამოართვა – მაშინ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა თქვა, ჩვენთან ყველა თავისუფალია, ჩვენს კოალიციაში ყველას შეუძლია „გადახტეს“, მაგრამ ვინც „გადახტება“, ის კისერს მოიტეხსო. შეიძლება ახლა ალასანია მშვენივრად არის ფინანსურად და მატერიალურად...

– ფინანსურად და მატერიალურად ალასანია კარგად არის?

– შეიძლება. გამიგია, რომ ფინანსურად კარგად არის, მაგრამ პოლიტიკურად, მოგეხსენებათ, ყველაფერს შეეშვა. მისი გუნდის წევრების ძირითადი ნაწილი კარგად დასაქმდა.

– რა საფუძველზე იქნება ალასანია ფინანსურად კარგად? ბიზნესი აქვს?

– ეგ არ ვიცი, მაგრამ მისი ახლობლებისაგან გამიგია, რომ ფინანსურად პრობლემები არ აქვს. თუმცა, პოლიტიკას ჩამოშორდა, ანუ „გადახტა“ და კისერიც მოიტეხა პოლიტიკურად, თორემ ფინანსურად და მატერიალურად სხვა საქმეა.

ახლა ივანიშვილი იქნება უკვე ბევრისთვის მისაწვდომი ადამიანი, თუნდაც სამ თვეში ერთხელ, თუნდაც იშვიათად, მაგრამ ფიზიკურად გამოჩნდება და გაქარწყლდება ის ლაიტმოტივი, შენ რომ ლაპარაკობ ივანიშვილის პირით, მე მაინცდამაინც ყველაფერი რატომ უნდა დაგიჯეროო.

– ისე იოლადაც ვეღარ ილაპარაკებენ?

– ვერც ილაპარაკებენ. იქ რამდენიმე ადამიანს, ტექნოკრატს, სერგეენკო იქნება თუ კვირიკაშვილი, ივანიშვილის სახელით ლაპარაკი არც უნდოდათ, მაგრამ ახლა ყოველთვის იქნება მასთან შეხვედრის საშუალება, პოლიტსაბჭოზე თუ ყრილობაზე თვითონ შეუძლიათ დაელაპარაკონ. ეს ძალიან კარგი ამბავია,

– რა კუთხით?

– განსაკუთრებით კარგია ის, რომ რეალური ინფორმაციის მიტანა შესაძლებელი იქნება. გაქრება ეჭვები, შენ კი გაქვს კონტაქტი, მაგრამ ყველაფერს ეუბნები? იქნებ არ ეუბნები ყველაფერს და ამიტომ რაღაც შეიძლება არ იცის. ბოლო წლებში „ოცნებელებთან“ საუბარი ასე იწყებოდა: „მე მაშინ ივანიშვილს ვუთხარი“, ანუ ხაზს უსვამდა, რომ მასთან წვდომის საშუალება ჰქონდა. ამით ამბობდა, მე ის ადამიანი ვარ, ვისაც ივანიშვილთან პირდაპირ ლაპარაკი შემიძლიაო.

– ბოლო დროს დაიწყო მოძრაობა სოციალური მდგომარეობის შეცვლისთვის და გარკვეულ წინადადებებს ფინანსთა მინისტრი ახმოვანებდა. ბახტაძემ განაცხადა, ბიზნესის კეთებისთვის ბანკებში ხელმისაწვდომი ფული არ არისო. მე მეუბნებოდნენ, თუ ქვეყანაში ბანკების მმართველობას ზღვარი არ დაედო, ქვეყანა ვერ განვითარდებაო. თითქოს საპასუხოდ ფინანსთა მინისტრმა ბიზნესისთვის ბანკებიდან ხელმისაწვდომი ფულის არარსებობაზე ისაუბრა. ამ კუთხით ვითარების გამოსწორებისთვის ხელისუფლების მზაობის ნიშნებს თუ ხედავთ? ამ კუთხით ღონისძიებები გატარდა ან გატარდება?

– ყოველ შემთხვევაში, ეცდებიან. საქართველოში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა რჩება. საკმარისია გაიარო თბილისში და ნახავ, რამდენი მათხოვარია. ვიცით, რა ვითარებაა რეგიონებშიც. ამ დროს ვიღაც გამდიდრებისთვის არის მოსული ხელისუფლებაში.

– სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის გარდამტეხი რა შეიძლება იყოს?

– სოციალური პრობლემები რომ მოგვარდეს, ეკონომიკა უნდა განვითარდეს. ბიუჯეტში რაც შედის, იმაზე მეტს ხომ ვერ დახარჯავ. თუ არ მიიღებ ზომებს, რომ რეალურად, ეკონომიკამ დაიწყოს განვითარება და თანდათან გამოსწორდეს, ექსპორტ-იმპორტის საქმე უნდა იყოს კარგად. თავიდან, ივანიშვილის პრემიერობის დროს, ტენდენცია იყო, იმპორტი მცირდებოდა და ექსპორტი იზრდებოდა და კარგი ტენდენცია იყო. შემდეგ რაც ძალიან კარგად გაუმჯობესდა, ტურიზმია. ეს კარგია.

მთლიანი ბალანსი რომ ავიღოთ, საქართველო უფრო მეტ ევროს და დოლარს ხარჯავს, ვიდრე აქ შემოდის. ეკონომიკისა და მომავლისთვის ეს ძალიან ცუდი რამ არის. მეორე მხრივ, მონოპოლიები კვლავ არსებობს და ყველამ იცის, ტენდერები როგორ ტარდება. ამაზე პრესაში იწერებოდა.

ყველა ხედავს, როგორი კორუფციაა რეგიონებში. ამ ფონზე ეკონომიკა რომ განვითარდეს, დაბეგვრის სისტემა უნდა შეიცვალოს. კაზინოების დაბეგვრა, რეალურად, არ ხდება.

– მე მეგონა კაზინოები იბეგრებოდნენ.

– ძალიან მიზერულად იბეგრებიან. რამდენი შემოსავალიც აქვთ, იმის შესაბამისად არ იბეგრებიან. რამდენჯერაც პარლამენტში კანონპროექტი შეიტანეს, იმდენჯერ იქ გააჩერეს. ვინ გააჩერა?

– არ ვიცი. ვინ გააჩერა?

– ლოგიკურად, პასუხი ძალიან მარტივია – პარლამენტში ვინც ზის და იმ ქონების პატრონია, მან გააჩერებინა. ასე ხდება პარლამენტში კაზინოების ლობირება. კარგი იქნება, თუ სოციალური ვითარების გაუმჯობესება მცდელობის დონეზე არ დარჩება.

– ნაცმოძრაობა როგორ შეხვდებოდა ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას პოლიტიკაში?

– რა თქმა უნდა, კრიტიკულად. ბიძინა ივანიშვილმა რაც უნდა გააკეთოს, მაინც რაღაცას იტყვიან. ახლა უკვე იმას ამბობენ, ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებამ დაადასტურა, რომ ხელისუფლება ღრმა კრიზისშია.

– ნაცებისთვის ივანიშვილის დაბრუნება პოლიტიკაში კარგია თუ ცუდი?

– ნაცებისთვის ივანიშვილის დაბრუნება ცუდია იმ მხრივ, რომ პარტია „ქართული ოცნება“ უფრო მონოლითური იქნება. ოცნებაში წვრილმანი კინკლაობა შეწყდება.

ზაზა პაპუაშვილი: „როგორც ერთი დღე მეორე დღეს არ ჰგავს, ასე იქნება ბიძინა ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარის რანგში დაბრუნება“

– როგორც ერთი დღე მეორე დღეს არ ჰგავს, ასე იქნება ბიძინა ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარის რანგში დაბრუნება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა განუცხადა.

– ისე, როგორც აქამდე იყო, ვერ გაგრძელდება. მე ამას ვუყურებ ახალი იდეის, ახალი ხედვის, ახალი შინაარსის ცვლილებას, რომელსაც დიდი ენერგია და ალბათ, ახალი განმახორციელებლები სჭირდება, – განუცხადა ჟურნალისტებს ზაზა პაპუაშვილმა.

დეპუტატის თქმით, თუკი რაიმე არ გამოვიდა, უნდა მოხდეს ახსნა და გაკეთდეს ანალიზი, თუ რატომ მოხდა ასე.

პარტია „ქართულ ოცნებაში“ მოსალოდნელ ცვლილებებზე დასმული კითხვის პასუხად პაპუაშვილმა განაცხადა, რომ „ცვლილება არის ის, რომ ის, რაც არ ვარგა, აღარ უნდა განმეორდეს“.

19 პარტია პრეზიდენტს მიმართავს, პარტიათა დაფინანსების შესახებ კანონში ცვლილებებს ვეტო დაადოს

პარტიათა დაფინანსების შესახებ კანონში „ქართული ოცნების“ მიერ შეტანილმა ცვლილებამ დააკანონა პოლიტიკური კორუფცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, – ამის შესახებ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა მამუკა კაციტაძემ საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციისგან შემდგარი ინტერპარტიული ჯგუფის შეხვედრაზე განაცხადა. ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, აღნიშნული ცვლილება პოლიტიკური კორუფციის რისკს ქმნის.

– როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა 18 აპრილს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონში ცვლილებები მიიღო, რომლითაც დააკანონა ახალი ნორმები პარტიათა დაფინანსების თაობაზე, რაც სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური კორუფცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დღეს შევა 19 პარტიის მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც ვითხოვთ, რომ ამ უსამართლო კანონს პრეზიდენტმა ვეტო დაადოს, – განაცხადა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა მამუკა კაციტაძემ.

ამასთან, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის თინა ბოკუჩავას თქმით, ივანიშვილი ცდილობს, ხალხის ფულით იყიდოს არჩევნების შედეგები.

– გარდა იმისა, რომ ივანიშვილი იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს, ის ასევე ხალხის ფულით ყიდულობს არჩევნების შედეგებს. „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ

კანონს შეუძლია ერთ მაჟორიტარს შეუქმნას ფრაქცია პარლამენტში და, შესაბამისად, მისცეს 300 ათასის დაფინანსება ბიუჯეტიდან. ეს კანონი ემსახურება პოლიტიკურ კორუფციას და მოსყიდვას. ამიტომ პრეზიდენტს მივმართეთ თხოვნით, რომ გამოიყენოს ვეტოს უფლება, – განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

ოპოზიციის წარმომადგენლები თვლიან, რომ პრეზიდენტის ვეტოს ხელისუფლება დაძლევს, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ვეტო აუცილებელია იმისათვის, რომ ამ თემაზე პარლამენტში წარიმართოს დებატები.

ინტერპარტიულმა ჯგუფმა საკუთარი წინადადებათა პაკეტიც მოამზადა პარტიათა დაფინანსების შესახებ წესის შეცვლასთან დაკავშირებით, რაც, მათი აზრით, უფრო სამართლიანი და გამჭვირვალეა.

ანზორ აბრალავა: „მარჩენალი ვერ გვიშველის“

„სააკაშვილი თავს ქართველ ხალხთან აიგივებს, რაც აბსურდია“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას** ესაუბრა.

– ექსპრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ, პოლიტიკაში დაბრუნების მიუხედავად, ივანიშვილი ველარ იქნება პოლიტიკის განმკარგავი, ხელისუფლებას კი წელსვე დაიბრუნებს ქართველი ხალხი.

– სააკაშვილის არ განსაზღვრავს საქართველოს ბედსა და ჩვენი ხალხის მომავალს. ის გზააბნეული, მოხეტიალე, წარუმატებელი ფორვარდია. სააკაშვილმა ქვეყანას ბევრი უბედურება დაატეხა. ის ბოლო დროს ბევრ განცხადებას აკეთებს და თავს ქართველ ხალხთან აიგივებს, რაც აბსურდია. მისი თანაპარტიელი ნაციონალების კომენტარები ბიძინა ივანიშვილის ახალ გეგმებზე აგრესიული და ცინიკურია. მათგან დასავლური რიტორიკა ისმის. ესაა ჩვენი უბედურება, როცა რუსული აგენტურა სააკაშვილის მეთაურობით პატრიოტობასა და პროდასავლურობაზე დებს თავს.

– „ქართული ოცნებაც“ ვერ გააიგივებს თავს ხალხთან. მმართველი პარტიის გაძლიერება ქვეყნისთვის კარგია, მაგრამ რა ქნას რიგითმა მოქალაქემ? ის არ ფიქრობს, რომ მმართველი პარტია მის მდგომარეობას აუმჯობესებს. ვალებში ჩაფლული და გაჭირვებული ადამიანებისათვის სულ ერთია, შემცირდება თუ არა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო, შეუკვეცენ თუ არა ამბიციებს კალაძესა და კვირიკაშვილს და დარჩება თუ არა უმრავლესობაში ფოფხაძე.

– გეთანხმებით. ხალხს უნდა პრობლემების მოგვარება. რომელიმე პარტიის შიგნით მიმდინარე რეფორმები მისთვის მთავარი საზრუნავი არ არის. რატომ არის ამხელა ამბავი ატეხილი ბიძინა ივანიშვილის გამო? აქ გადამწყვეტია მისი რესურსები. მთავარი რესურსი კაპიტალია. რამდენი ხანია, მოხდა ქართული პოლიტიკის კაპიტალიზაცია.

– პარტიებიც არ ჩანან.

– პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა დისკრედიტებულია. მათთვის წინა პლანზეა წამოწეული არა იდეები და სახელმწიფოებრივი მიდგომები, არამედ, მედროვეობა და ანგარება. რესპუბლიკურ პარტიას, მაგალითად, 35-ზე მეტი წლის ისტორია აქვს. ეს სამარცხვინო პერიოდია. რესპუბლიკელები მონაწილეობდნენ სახელმწიფო გადატრიალებაში. მათ შეხება ჰქონდათ სახელმწიფო საბჭოსთან, სამხედრო საბჭოსთან. ისინი ერთიანდებოდნენ მარგინალებთან. ასე გაერთიანდნენ სააკაშვილთანაც. ვუსმინე ყოფილ რესპუბლიკელ თინა ხიდაშელს, რომელიც არცერთი პარტიის წევრი არ არის, თუმცა, პოლიტიკიდან წასვლა არ უნდა. მისი გამოსვლიდან დავასკვენი, რომ ხიდაშელი ცდილობს ივანიშვილის კეთილგანწყობის მოპოვებას.

– მისი ყოფილი პარტიის მიმართ ივანიშვილი 2012 წელს უკვე განეწყო კეთილად.

– 2012 წელს ივანიშვილმა სხვებიც შემოიკრიბა. ყველა მათგანს თვალი ეჭირა მისი ჯიბისკენ როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. იმ პოლიტიკოსებმა იხეირეს.

– ხელის მოთბობა „ქართულმა ოცნებამ“ არც კოალიციის დაშლის შემდეგ დაიკლო. ახლანდელები არც კორუფციას ერიდებიან, გაზრდილი ხელფასები და პრემია-დანამატები კი ცხოვრების იდეად ექცათ.

– როცა პოლიტიკოსების მერკანტილიზმზე ვსაუბრობ, ამათაც ვგულისხმობ. საუბედუროდ, ანგარება ღრმად გაჯდა ქართველების მენტალიტეტში. მერკანტილიზმი და მარჩენალზე დამოკიდებულებით პოლიტიკას ვერ გავაჯანსაღებთ. ასე ვერც პარტიები განვითარდება და ვერც – სამოქალაქო სექტორი.

– სააკაშვილის ახლანდელი დაპირებები ულტრაპოპულისტურია. ერთი მათგანი ვალებში ჩაფლული მოქალაქეებისთვის შეღავათების დაწესებას გულისხმობს. შესაძლოა, ამას ადამიანები წამოეგონ?

– ვისაც აზროვნების უნარი აქვს, ის ამით არ მოტყუვდება. სააკაშვილის პარტია თავის გარშემო გარკვეული კატეგორიის ხალხს იკრებს. ეს მოვალეთა ჯგუფი არ არის. კარგა ხანია, ნაცმოძრაობის გარშემო ირაზმებიან ნარკომანიასთან, ნარკობიზნესთან და პროსტიტუციასთან დაკავშირებული პირები. ლენინი ახდენდა მუშებისა და გლეხების კონსოლიდაციას, სააკაშვილის დამქაშები ნარკომანიასთან და მეძავობასთან დაკავშირებულ ხალხს აგროვებენ.

ისინი ტოკშოუების მუდმივი გმირები არიან. ასეთები მასხრად იგდებენ ზნეობას, წესიერებას, პატრიოტიზმს, ცხოვრების ჯანსაღ წესს. მოვლენებისა და პიროვნებების შეფასება მოგვიანებით ხდება ხოლმე. ბევრი გენიალური მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე სიკვდილის შემდეგ დააფასეს. ამ „გმირების“ შემხედვარე საზოგადოების ნაწილმა შეიძლება სწორი დასკვნები ახლავე ვერ გამოიტანოს.

– მთავარია, ამომრჩეველს ჰქონდეს ამოსარჩევი და ის არ შეცდეს.

– სამწუხაროდ, ბევრს მოკლე მეხსიერება ახასიათებს. ხელისუფლებას კი ის არ ესმის, რომ პასუხისმგებელია მიმდინარე მოვლენებზე და საჭიროა გაბედულება. გამსახურდიამ გამოიჩინა სიმამაცე და მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენ სრული დამოუკიდებლობა გვჭირდება და არა – შეზღუდული სუვერენიტეტი. ის ხალხი, რომელიც გამსახურდიას ებრძოდა, ორხელისუფლებიანობასა და კონგრესს უქმნიდა, მოგვიანებით სააკაშვილთან ერთად დადგა. ეს უნდა გვახსოვდეს, ისევე, როგორც 2008 წლის ომის დროს ნაცმოძრაობის მოღალატეობა – სამეგრელოსა და შიდა ქართლის გუბერნატორები რუს ოკუპანტებს მძღოლობას უწევდნენ.

ირაკლი კოვზანაძე: „მნიშვნელოვანი რეფორმები ბიზნესსექტორთან კოორდინირებით უნდა განხორციელდეს“

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე „საქართველოს ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელებს, გიორგი ჭირაქაძეს, სოსო ფხაკაძეს, ლაშა პაპაშვილს, ვახტანგ ბუცხრიკიძეს, ზურაბ ლალაზაშვილსა და ირაკლი ასლანიშვილს შეხვდა. ამის შესახებ „კომერსანტს“ პარლამენტიდან აცნობეს.

შეხვედრაზე, რომელიც პარლამენტში გაიმართა, კომიტეტის თავმჯდომარემ ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან საპენსიო და კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბებისთვის დაგეგმილი რეფორმები, განხორციელებული ცვლილებები საფინანსო სექტორში, ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების შესახებ კანონებში, ასევე სხვა მიმდინარე აქტუალური თემები განიხილა.

– შეხვედრა საკმაოდ საინტერესო და დატვირთული იყო. ჩვენ ვისაუბრეთ საპენსიო რეფორმაზე, რომელიც უმნიშვნელოვანესი რეფორმაა, წლების განმავლობაში მზადდებოდა და მისი განხილვა დღეს პარლამენტში მიმდინარეობს; აგრეთვე გამოწვევებზე, რომლის წინაშეც კერძო სექტორია. ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს ეროვნული ბანკის შემუშავებულ ახალ საკრედიტო რეგულაციებზე, რომლებიც, მათი აზრით, გარკვეულ რისკებს შეიცავს. გავცვალეთ საკუთარი მოსაზრებები და მე მათ შევპირდი, რომ პარლამენტში, საკომიტეტო განხილვების დროს ბიზნესის ჩართულობა აღნიშნული და მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებისას გარანტირებული იქნება, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებთან საქმიანი შეხვედრები მომავალში გაგრძელდება.

– შევთანხმდით, რომ ასეთი ტიპის შეხვედრები სისტემურ ხასიათს მიიღებს როგორც ჩვენს კომიტეტში, ასევე მათთან, რათა უწყვეტ რეჟიმში ვგრძნობდეთ ქვეყნის ეკონომიკის მაჯისცემას, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

ლაშა პაპაშვილი ეროვნულ ბანკს აკრიტიკებს

საქართველოს ბიზნესასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ლაშა პაპაშვილი საქართველოს ეროვნულ ბანკს ახალი რეგულაციების ფორსირებულ რეჟიმში ამოქმედების გამო აკრიტიკებს.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციებით, 7 მაისიდან გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა შეეზღუდებათ საზედამხედველო კაპიტალის 25%-ზე მეტად.

ამ რეგულაციებთან დაკავშირებით, საქართველოს ბიზნესასოციაციამ უკვე გამართა ერთი შეხვედრა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ მურთაზ კიკორიასთან. გუშინ კი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვდნენ.

– ძირითადი პრეტენზია და პრობლემა იყო ის, რომ ფორსირებულად მოხდება რეგულაციების დაწესება და საკმარისად არაა განხილული საფინანსო ინსტიტუტებთან – როგორც მსხვილ, ისე პატარა ბანკებთან და ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან. პრეტენზია აქვთ, ასევე, არა მხოლოდ საფინანსო ინსტიტუტებს, ასევე მსხვილ რითეილერებს – საცალო ვაჭრობაში მყოფ მაღაზიებს და სავაჭრო ცენტრებს მოლოდინი აქვთ, რომ ამ რეგულაციების გამო იმდენად რთულდება შემოსავლის დადგენის და მიკვლევადობის პროცესი, რომ სეხების გაცემა ძალიან შემცირდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფრის მიმართ, რაც ბიზნესის და ეკონომიკის შემაფერხებელია, გულგრილად ვერ ვიქნებით და ამგვარი რეგულაციების წინააღმდეგი ვართ, – განაცხადა პაპაშვილმა.

პაპაშვილის თქმით, სამომხმარებლო სესხები სწრაფად იზრდება მთელ მსოფლიოში და ასეთი რეგულაციებით ეს საკითხი ვერ მოგვარდება.

– ჩვენ საფრთხეს ვხედავთ, რომ ეს შეიძლება გადავიდეს ჩრდილოვან მხარეს. ამიტომ სასურველია, რომ ახალი რეგულაციის მიღება ასე ფორსირებულად არ მოხდეს, – აღნიშნა მან.

სოსო ცინცაძე: „შენგენის ზონაში უკანონო მიგრაციისთვის ადამიანის დაჭერა არ შეიძლება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმ საკანონმდებლო ინიციატივაზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც, შენგენის ზონაში უკანონო მიგრაცია სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება.

– ბატონო სოსო, არსებობს საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, შენგენის ზონაში უკანონო მიგრაცია, უკანონოდ თავშესაფრის მოთხოვნა სისხლის სამართლის კოდექსით იქნება დასჯადი. საუბარია 3-დან 6 წლამდე პატიმრობის შეფარდებაზე. ასეთი მკაცრი ზომები უნდა იყოს მიღებული?

– სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი არ იყო ეს საკანონმდებლო ინიციატივა, რადგან ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ქაოტურად მოქმედებს.

თავის დროზე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მთელ მთავრობას კამპანია უნდა ეწარმოებინა, ადამიანებთან უფრო ახლო კონტაქტი უნდა ჰქონოდა და აეხსნა, რას ნიშნავს პირველ რიგში ქვეყნისთვის ეს მონაპოვარი და მისი დაკარგვა როგორ ძვირად დაუჯდება ჩვენს ქვეყანას. შემდეგ უნდა აეხსნათ ადამიანებისთვის, რისი უფლება აქვთ და რისი – არა. მეტიც, რეგიონებში, რაიონებში, სოფლებში უნდა ჩასულიყვნენ შესაბამისი მინისტრები, მოადგილეები და ადამიანებს უნდა დალაპარაკებოდნენ, უნდა ეთქვათ, რომ მერკელი და მაკრონი ყვავილებით ხელში არ დაგხვდებიან, რომ ეს გზა სახიფათოა. ეს არავინ გააკეთა და ახლა რას ვხედავთ? ასეთი მკაცრი ზომები მიუღებელია. თუ ადამიანი აქ გაჭირვებას გაექცევა, ლუკმა-პურის საშოვარზე წავა, ამისთვის ციხე უნდა მიუსაჯონ?! ეს გაუგონარი რამეა.

ისე, მე არ მგონია, რომ ეს კანონპროექტი გავიდეს, ისევე, როგორც – რელიგიურ გრძნობებთან დაკავშირებით კვიციანის ინიციატივა.

– საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ დამატებითი მსჯელობაა საჭირო ამ კანონპროექტთან დაკავშირებით.

– სტანდარტული განცხადებაა. ვნახოთ, მე მაინც მგონია, რომ არ გავა, ვინმე ჭკუათმყოფელი მოიძებნება, რომელიც იტყვის – იმიტომ, რომ სამუშაოს ეძებს ადამიანი, რის პირობებსაც ჩვენ ვერ ვუქმნით, უნდა დავიჭიროთ?!

ამავე დროს, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რომ ვიზალიბერალიზაციას საფრთხე არ დაემუქროს.

– შეიძლება დაემუქროს?

– მე მაინც მგონია, რომ არა და ჩვენ შევინარჩუნებთ ამ სიკეთეს. თუმცა, განწყობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ევროჩინოვნიკებიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან.

– თუმცა, მართლაც სამარცხვინოა უკვე ლამის ყოველდღე გერმანიაში, საფრანგეთში ქართველების ქურდობა, ამდენი ქართული კრიმინალური დაჯგუფების არსებობა.

– ასეთი კურსი იყო: ქურდები, მთავარია, ჩვენთან არ იყვნენ და სხვაგან, სადაც გინდა, იქ იყვნენ. ეს არასწორი პოლიტიკა იყო. ეს ქურდები ჯერ რუსეთში გადავიდნენ და შემდეგ რუსეთიდან ევროპაში წავიდნენ. ქურდები ყველა ქვეყანაში არიან, მაგრამ აქ მთავარია, რომ მდიდარი ქვეყანა ქურდების ექსპორტს არ ახდენს. როგორც წესი, ეს ქურდები ღარიბი ქვეყნებიდან არიან.

ევროპულ ძალოვნებთან მეტი თანამშრომლობაა საჭირო. ევროპაში უკვე იმდენი ქართული კრიმინალური დაჯგუფებაა, რომ ყველას სახელი და გვარი შეიძლება ჩვენმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ არც კი იცოდეს.

ქურდობა ყველა ქვეყნის პრობლემაა და ეს ადგილობრივი პოლიციის თავსატეხია, მაგრამ, როდესაც ეთნიკური ნიშანი ჩნდება, ეს უკვე სერიოზული პრობლემაა. ეს ღირსებას ნამდვილად არ გვმატებს.

– ბატონო სოსო, მაინც რატომ გვიჭირს გამოკვეთილად გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობა?

– საქართველოში სულ ერთ ხელზე ჩამოსათვლელი პროფესიონალი დიპლომატები გვყავდა. მაღალი დონის დიპლომატი გერმანიაში ელჩად თითქმის არ გვყოლია. ბოლოს ლადო ჭანტურია იყო, რომელიც ახლა ევროსასამართლოს მოსამართლეა. ჭანტურია გერმანიაში არც ისე დიდი ხნით იყო ელჩი. ის მაღალი დონის იურისტია, გერმანული ენის კარგი მცოდნე და კარგი დიპლომატიური მონაცემებიც ჰქონდა. იტყვიან ხოლმე, ელჩს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, სახელმწიფოს მეთაურები რას გადაწყვეტენო.

ამ არაპროფესიონალურ მოსაზრებას ვერანაირად დავეთანხმები. ელჩს, მაღალი დონის დიპლომატს, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა აქვს.

რატომ არის საარისკო საქართველოში სამედიცინო ბიზნესი

საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენად სარისკოა საქართველოში პაციენტად ყოფნა, მცდარი დიაგნოზი, არასწორი მკურნალობა არც ისე იშვიათობაა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ცოტასთვის თუ არის ნათელი, რომ ასევე სარისკოა საქართველოში სამედიცინო ბიზნესი.

სახელმწიფო ჯანდაცვის საზედამხედველო ორგანოებისა და ჯანდაცვის ობიექტების ურთიერთობა შეიძლება ამ ეტაპისთვის უფრო მეტად სტრესულია, თუმცა ამ სტატიაში მინდა შევეხო პაციენტსა და კლინიკას შორის პოტენციური დავის სამართლებრივ ასპექტებს, რომელიც ყურადღების საგანი უნდა იყოს როგორც პაციენტის და კლინიკის, ასევე სამედიცინო პერსონალის და ჯანდაცვის სახელმწიფო უწყებების მიერ.

სამედიცინო მომსახურების ზრდის ფონზე მზარდია პაციენტთა პრეტენზიები, რომელიც სასამართლო დავებშია გადაზრდილი სამედიცინო დაწესებულებების მიმართ. თუ უკვე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზს ჩავატარებთ, გარკვეულ ტენდენციებს დავინახავთ.

„პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და სამოქალაქო კოდექსია ის ძირითადი სამართლებრივი ბაზა, რაც არეგულირებს პაციენტსა და სამედიცინო პერსონალსა და კლინიკას შორის ურთიერთობებს პაციენტის მხრიდან ზიანის, ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოთხოვნისას.

ჩვენთან, განსხვავებით, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებისგან, სადაც არასწორი მკურნალობისას პაციენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას მტკიცების ტვირთი აწევს პაციენტს, საქართველოში მტკიცების ტვირთი სამედიცინო დაწესებულებას მოეთხოვება, რაც ძალზე დიდ უპირატესობას ანიჭებს პაციენტს სასამართლო დავისას, რამდენადაც საჩივრის ავტორს, პაციენტს არ უწევს იმის მტკიცება, რომ მისი ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობა ცალსახად ექიმის შეცდომამ განაპირობა.

პირიქით, სამედიცინო დაწესებულებამ უნდა ამტკიცოს საპირისპირო. ასე განიხილავენ სასამართლოები საქმეებს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის ფორმულირებაზე დაყრდნობით, რომელიც ამბობს, რომ ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. მიუხედავად იმისა, რომ სადავოა სასამართლოების მხრიდან 1007-ე მუხლის ფართო ინტერპრეტაცია, ფაქტი ფაქტად რჩება – სასამართლოები ჯერჯერობით თითქმის სრულად უხსნიან პაციენტებს მტკიცების ტვირთს ამ საკითხში და, შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში ასეთი დავებისას პაციენტები გამოდიან გამარჯვებული.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია იმის განსაზღვრა, თუ ვინ არის პაციენტის მიმართ პასუხისმგებელი პირი. განვითარებულ ქვეყნებში მიჯნავენ კლინიკის და ექიმის პასუხისმგებლობას, იმისდა მიხედვით, თუ რეალურად ვისი ბრალეულობა იკვეთება. საქართველოში ერთი სასამართლო პრეცედენტის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში კლინიკაა მოპასუხე ასეთი პრეტენზიებისას. ამის მიზეზი სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლზე დაყრდნობაა, რომლის მიხედვით: „ორგანიზაცია ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას.“ არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ სერთიფიცირებული ექიმი არის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს და მოქმედებს დამოუკიდებლად. შესაბამისად, იგი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ჩვეულებრივი ხელქვეითი, რომელზე სრული კონტროლიც გააჩნია ორგანიზაციას.

რეალურად კლინიკასა და ექიმს შორის ურთიერთობა უფრო ნარდობის ტიპისაა, ვიდრე შრომითი. თუ ამას ვაღიარებთ, მაშინ ექიმის შეცდომიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა არ გადავა კლინიკაზე. იმავდროულად, დასავლეთის ქვეყნებში სავალდებულოა ექიმთა პროფესიული დაზღვევა, რომლის გარეშე ექიმი სამსახურს ვერ დაიწყებს.

შესაბამისად, ექიმის შეცდომით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება მზღვეველის და არა კლინიკის მიერ. ჩვენთან ეს არ არის. შესაბამისად, მთელი ტვირთი გადადის კლინიკაზე.

მესამე და ყველაზე საყურადღებო: უკვე არაერთი შემთხვევაა, როდესაც სასამართლომ ქართულ კლინიკას დააკისრა მისი უკმაყოფილო პაციენტის მიერ საზღვარგარეთ, უცხო ქვეყნის კლინიკაში მიღებული მომსახურების ხარჯები. ისეთი სასამართლო გადაწყვეტილებაც კი არსებობს, როდესაც სასამართლომ უცხოური კლინიკის მიერ გაწეული მომსახურების კი არა, არამედ მხოლოდ გამოწერილი ინვოისის საფუძველზე დააკისრა ქართულ დაწესებულებას პაციენტისთვის ზიანის ანაზღაურება.

ერთი შეხედვით ამაში საპრობლემო თითქოს რა უნდა იყოს? თუ ქართულმა საავადმყოფომ პაციენტს სათანადოდ ვერ უმკურნალა და მას ამის შემდეგ რწმენა დაეკარგა ქართული მედიცინისადმი და ზიანის (ჯანმრთელობის) აღსადგენად უცხოურ კლინიკას მიმართა, სამოქალაქო კოდექსით მას ეძლევა სამართლებრივი საფუძველი, მოითხოვოს ქართული საავადმყოფოსგან იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც გაწია ან უნდა გაწიოს უცხოურ კლინიკაში ჯანმრთელობის აღსადგენად.

მაგრამ აქ თავს იჩენს შემდეგი საკითხები: სამედიცინო მომსახურება უცხოეთში, განსაკუთრებით მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იმდენად ძვირი ღირს, რომ ასეთ პროცესს შეუძლია მოპასუხე ქართული კლინიკის მარტივად გაკოტრება. ოპერაცია, რომელიც საქართველოში შეიძლება რამდენიმე ათასი ლარი ღირს, განვითარებული ქვეყნის მაღალტექნოლოგიურ კლინიკაში შეიძლება რამდენიმე ასეულ ათასი ღირდეს, ამას ემატება სხვა თანმდევი ხარჯები. თუ სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით არ შეიცვალა, ამან შეიძლება ქართული ჯანდაცვის სისტემის ინვესტორებს სერიოზული რისკები დაანახოს და თავი შეაკავებინოს შემდგომ ინვესტიციებზე. იმავდროულად, მიმაჩნია, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხში წინააღმდეგობაში მოდის ქართულ სამართალთან, ქართულ კონსტიტუციასთან. ქართული სამართალი აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს ნებართვით და კონტროლით დაშვებულ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს.

შესაბამისად, ქართული სასამართლოც წესით არ უნდა აღიარებდეს უცხო ქვეყნის კლინიკას, როგორც სამედიცინო დაწესებულებას, რადგან იგი არ არის ქართული კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული. ერთი შეხედვით, ვინმეს ასეთი მიდგომა შეიძლება არასამართლიანად, პაციენტის უფლებების დამრღვევად მოეჩვენოს. მაგრამ საგულისხმოა, რომ არც ერთი ნორმალური ქვეყანა არ უშვებს იმას, რასაც ჩვენ – დააფინანსოს შეუზღუდავად, დათქმების გარეშე უცხო ქვეყნებში მკურნალობა და რისკის ქვეშ დააყენოს საკუთარი ჯანდაცვა.

ვახტანგ ბუცხრიკიძე: „ქართული საბანკო სექტორი დღეისთვის მდგრადი და მართვადია“

„ქართული საბანკო სექტორი დღეისთვის მდგრადი და მართვადია“, – ამის შესახებ თიბისი ბანკის დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრისას განაცხადა.

– დღეისთვის ქართული საბანკო სექტორი არის მდგრადი და მართვადი. რაც შეეხება ჭარბვალიანობას, ეს დეფინიციის თემაა – ვინ როგორ შეაფასებს. ტრენდს რომ შევხედოთ, საბანკო სესხების ზრდა მნიშვნელოვანია, თუმცა ზღვარს გადასული არ არის. ვადაგადაცილებულ სესხებს თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ გაცილებით კარგი მდგომარეობა გვაქვს, – აღნიშნა ბუცხრიკიძემ.

მისივე თქმით, გარკვეული საუბარი მიდის ასევე, რომ ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით გარკვეული ზღვარი დაწესდეს. შეგახსენებთ, რომ ახალი რეგულაციებით, მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა იზღუდება. ამასთან, სები მუშაობს დოკუმენტზე, რომლითაც სესხის გაცემისას შემოსავლების შემოწმება სავალდებულო გახდება. ამის ერთ-ერთ მიზეზად კი ჭარბვალიანობა სახელდება.

მათი ცნობით, მზარდია იმ ფიზიკური პირების დაკრედიტება, რომელთაც შემოსავლებთან მიმართებაში ვალის მაღალი ტვირთი აქვთ. ასევე, ფინანსურ ინსტიტუტებში ხდება საცალო დაკრედიტების ბიზნესმოდელის ისეთი ცვლილება, რომელიც ნაკლებ ყურადღებას უთმობს შემოსავლების წყაროს.

„ახალი რეგულაციების გამო, ბაზრის ბევრ მოთამაშეს ბიზნესმოდელის შეცვლა მოუწევს“

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე ნიკა ქურდიანი ვარაუდობს, რომ ეკონომიკის სექტორის ბევრ მოთამაშეს, შესაძლოა, საკუთარი ბიზნესმოდელების შეცვლა მოუწიოს. აღნიშნული შეფასება, ქურდიანმა ახალი საბანკო რეგულაციების კომენტირებისას გადაცემაში „ანალიტიკა“ გააკეთა.

– ცვლილებები მხოლოდ საბანკო და საფინანსო სექტორს არ ეხება, ბევრი მოთამაშეა, რომელიც ამ თემის გარშემო სისტემაში მონაწილეობს, მაგალითად, ელექტროტექნიკის განვადებები. ბევრი ბენეფიციარია, რომელიც ალბათ დაფიქრდება, როგორ წარმართოს თავისი ბიზნესი და როგორ შეცვალოს საკუთარი ბიზნესმოდელი, – აღნიშნა ქურდიანმა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ფინანსური განათლება, რადგან ადამიანმა უნდა იცოდეს, როგორ დაფაროს სესხი და როგორ გაითვალისწინოს ეს ხარჯები, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ადეკვატური საპროცენტო განაკვეთები და სესხის სტრუქტურა.

– ძალიან რთულია, მაგალითად, ჯერ პროცენტის გადახდა და ბოლოს ძირი თანხის დაბრუნება, ამიტომ ბევრი რამ, რაც კეთდება სწორი და დროულია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორ გავლენას იქონიებს ეკონომიკაზე. არ შეიძლება ამ საკითხში სისწრაფე, შესაძლოა ამის გამო ბევრი ნიუანსი გაუთვალისწინებელი დარჩეს, ამიტომ უნდა მოხდეს კოორდინაცია და შეჯერება, – აღნიშნა ქურდიანმა.

გიორგი ჭირაქაძე: „ეროვნული ბანკის რეგულაციებს ნეგატიური შედეგი ექნება“

საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი გიორგი ჭირაქაძე მიიჩნევს, რომ ახალ რეგულაციებს, რომელიც ეროვნულმა ბანკმა ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით შემოიღო, ნეგატიური შედეგი ექნება.

მისი თქმით, ასოციაციის წარმომადგენლები შეხვდნენ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს და აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები გააცნეს.

– ჩემი აზრით, ეროვნული ბანკის რეგულაციებს ნეგატიური შედეგი ექნება. ჩვენ გვქონდა რამდენიმე დღის წინ შეხვედრა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან და ვესაუბრეთ ჩვენს მოსაზრებებთან დაკავშირებით. რასაკვირველია, ასევე გვესმის რეგულატორის, რომელიც თავის მხრივ ცდილობს, იფიქროს პრობლემებზე, რომელიც შეიძლება შეიქმნას სექტორში და კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღოს, – განაცხადა ჭირაქაძემ.

მისი თქმით, ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობა გაგრძელდება. ამავდროულად ჭირაქაძე იმედოვნებს, რომ ბანკი გარკვეულ პოზიციებს შეცვლის.

– ეროვნულ ბანკს ჩვენი შენიშვნები გავაცანით. ვაპირებთ ეროვნულ ბანკთან მჭიდროდ მუშაობას, ვისაუბროთ საკითხებზე, რომელიც მიგვაჩნია, რომ არის არასწორი. ძალიან მნიშვნელოვანია, ბიზნესსა და ეროვნულ ბანკს შორის არსებობდეს მჭიდრო კომუნიკაცია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ამ საუბრის შემდგომ შევძლებთ შევაცვლევინოთ რაღაც პოზიციები მათ და ამავდროულად, ჩვენც მივიღოთ უკეთესი შედეგი, – განაცხადა ჭირაქაძემ.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მოთხოვნები შემოიღო. „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში ცვლილებების თანახმად, 2018 წლის 7 მაისიდან კომერციულ ბანკებს შეეზღუდებათ მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. შეზღუდვა არ ეხება ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს, უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში. ამასთან, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს და სესხის გაცემისას, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 50%-ზე მეტი.

გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ 2 ახალი მოადგილე დანიშნა

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებად გიორგი წერეთელი და კობა გაბუნია დაინიშნენ. ამის შესახებ „კომერსანტს“ გზების დეპარტამენტიდან აცნობეს.

გიორგი წერეთელი ამ დრომდე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში სადაზღვევო ნორმატივებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის პოზიციაზე მუშაობდა, კობა გაბუნია კი შპს „ელიტა ბურჯი“-ს კომერციული დირექტორი იყო. თავმჯდომარის ახალ მოადგილეებს აქვთ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში მუშაობის გამოცდილება.

ირაკლი ქარსელაძე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეა.

მას 5 მოადგილე ჰყავს – ნუგზარ გასვიანი, ალექსანდრე თევდორაძე, ლევან კუპატაშვილი, გიორგი წერეთელი და კობა გაბუნია.

„თემირლან მაჩალიკაშვილს ხელში ტელეფონი ეჭირა და არა — ხელყუმბარა“

ადვოკატებმა ექსპერტიზის დასკვნა მიიღეს

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე 27 აპრილს ადვოკატებმა ექსპერტიზის დასკვნის შედეგები მიიღეს.

რამდენიმეთვიანი ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ხელყუმბარაზე მაჩალიკაშვილის ვერც თითის ანაბეჭდი და ვერც დნმ-ის კვალი აღმოაჩინეს.

ბოლო ოთხი თვეა, საქართველოს უსაფრთხოების სამსახური ამტკიცებს, რომ სპეცრაზმელმა მაჩალიკაშვილს იმის გამო ესროლა, რომ მას ხელში ხელყუმბარა ჰქონდა და სამართალდამცველების აფეთქებას აპირებდა.

– პასუხი არის შემდეგი, არის გარკვეული ნაწილაკები, თუმცა რთულია მისი იდენტიფიცირება და აქედან გამომდინარე დასკვნაა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის თითის კვალი, მისი ანაბეჭდები არ ფიქსირდება წარმოდგენილ ხელყუმბარაზე, რომელიც შემთხვევის ადგილიდან იქნა ამოღებული.

უმთავრესი არგუმენტი, რომ თემირლანს ეჭირა ხელყუმბარა, არ დადასტურდა, – აცხადებს ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი.

ადვოკატი ამბობს, რომ შემთხვევის ადგილიდან ნამდვილად იქნა ამოღებული ხელყუმბარა, თუმცა, მისი თქმით, იქ ის იმ ორი საათის განმავლობაში მიიტანეს და დადეს.

– წარმოდგენილი მტკიცებულებებით დავადასტურეთ, რომ მას ხელში ეჭირა ტელეფონი. ზუსტად 5 წუთის ინტერვალშია გასროლილი, რაც მან სმს შეტყობინება გააგზავნა, – აცხადებს კუბლაშვილი.

გურჯაანში ვასო მაისურაძის ცემისთვის სლოტ კლუბის დაცვის თანამშრომლები დააკავეს

სამართალდამცავებმა გურჯაანში შპს „ვეგას“ სლოტ კლუბის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები დ.ა. და შ.ე. დააკავეს.

პროკურატურის ინფორმაციით, მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარედგინათ, რაც ჯგუფურად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 16 აპრილს, ქ. გურჯაანში, შპს „ვეგას“ სლოტ კლუბის შიდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა დ.ა.-მ და შ.ე.-მ სლოტ კლუბში მომხდარი შელაპარაკებისას, ვასო მაისურაძეს სახის და თავის არეში მუშტის მრავალჯერადი დარტყმით, სიცოცხლისთვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენეს.

ვასო მაისურაძე ამჟამად იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში კომატოზურ მდგომარეობაში.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან ათ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

28 წლის ვასო მაისურაძის მდგომარეობა მძიმეა. ის თბილისში, ჟვანიას კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

რეგინფო

მურთაზ ზოდელავა: „პროკურატურა დასჯით მემუქრება — ტელეიმედის დარბევის საქმე შეკერილია“

– ხელისუფლება მეუბნება, შენ ხარ პირველი კატეგორიის მტერი და დაგსჯით, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ ჟურნალისტებს პროკურატურაში მისი გამოკითხვიდან გამოსვლის შემდეგ განუცხადა, სადაც ის 27 აპრილს „ტელეიმედის“ დარბევის საქმესთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით დაიკითხა.

როგორც მურთაზ ზოდელავამ განაცხადა, „იმედის“ დარბევის საქმეზე ბრალდებული პირების მიმართაც „საქმე შეკერილია“ და ხელისუფლება მასაც მიმართავს, რომ ამ ბრალდებულთა რიგებში თვითონაც ჩადგება. ამასთან, ზოდელავას თქმით, პროკურატურაში არანაირი მტკიცებულება „ტელეიმედის“ დარბევის საქმესთან დაკავშირებით მისთვის არ წარუდგენიათ და მხოლოდ მოწმის სახით დაიკითხა.

– ამ საქმეზე ბრალდებულები არიან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი. საქმე არის აბსოლუტურად შეკერილი. არანაირი დანაშაული არც ერთ ამ ადამიანს, რა თქმა უნდა, არ ჩაუდენია. უბრალოდ, ხელისუფლება მე მეუბნება, რომ შენც ჩადგები მათ რიგში, შენ ხარ პირველი კატეგორიის მტერი და შენ დაგსჯით. ეს არის კონკრეტული მესიჯი, რომელიც მე მივიღე დღეს ხელისუფლებისგან. ეს არ არის მხოლოდ პროკურატურა, ვიცით, რომ პროკურატურა იგივე ხელისუფლებას უდრის.

არანაირი შემხებლობა ამ საქმეზე არ მქონია და ასეთი პირდაპირი, უტიფარი მესიჯები ჩემთვის წარმოუდგენელია, – განაცხადა ზოდელავამ.

ამასთან, ზოდელავამ არ დააკონკრეტა, რა კითხვები დაუსვეს საგამოძიებო უწყებაში და აღნიშნა, რომ მთავარ პროკურატურაში დაბარება სამეგრელოში მის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირდება.

– ჩემი მოლოდინი ბოლომდე დადასტურდა. ხელისუფლების მთავარი ამოცანაა, რომ ქვეყანაში შექმნას დუმილის რეჟიმი. მე არ ვაპირებ დადუმებას, მე მაქვს პასუხისმგებლობა სამეგრელოს რეგიონზე, გვყავს ბევრი ამომრჩეველი სამეგრელოს რეგიონში, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში არიან. ხელისუფლებას არ უნდა, რომ ვილაპარაკოთ, მაგრამ ჩვენ ვილაპარაკებთ, – განაცხადა ზოდელავამ.

სუს-ის მაღალჩინოსანი რამაზ ეჯიბია მოხსნეს

რა კავშირი აქვს ამასთან ეკა ბესელიას?

სამეგრელო-ზემო სვანეთის ანტიკორუფციული სამსახურის უფროსი რამაზ ეჯიბია თანამდებობიდან მოხსნეს. „ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ეჯიბიას თანამდებობა სახელისუფლო ბიზნესინტერესებს შეეწირა, კერძოდ, საქმე ეხება თევზჭერასთან დაკავშირებული ლიცენზიების გაცემას.

რა კავშირი აქვს რამაზ ეჯიბიას თანამდებობიდან მოხსნასთან ეკა ბესელიას და ბუტა რობაქიძის საქმეს?

კონფიდენციალური წყარო ჰყვება, რომ ეჯიბია პირადად ეკა ბესელიას მოთხოვნით გაათავისუფლეს, რადგან იკვეთებოდა ბესელიას ბიზნესინტერესები ფოთში. წყაროს თქმით, ბესელია სამეგრელოში სპეციალურად ჩავიდა, სადაც მაღალი რანგის შეხვედრები გაიმართა და მოითხოვა, რომ დაეტოვებინა ეჯიბიას თანამდებობა, თუმცა პროკურატურის მოთხოვნა იყო, რომ ამ ეტაპზე მისი გათავისუფლება ვერ მოხდებოდა, რადგან ის იყო ერთ-ერთი გახმაურებული საქმის მთავარი მოწმე.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ეს არის ბუტა რობაქიძის საქმე, რომლის ირგვლივაც ეჯიბიამ სკანდალური ჩვენება მისცა და თქვა, რომ დიდუბის პანთეონთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, მას იარაღების ჩადების ფაქტი არ უნახავს.

„პიქსელის“ შენობასთან ცოლის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულს 9-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

სასამართლომ მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული შ.ტ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-19, 108-ე მუხლით. სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 6 სექტემბერს, დაახლოებით 11:15 საათზე, ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №34-ში მდებარე შპს „პიქსელ მენეჯმენტის“ შენობის მთავარ შესასვლელთან, შ.ტ.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით მეუღლეს თ.ტ.-ს დანით გულმკერდის, მუცლისა და ზურგის არეში მიაყენა ჭრილობები, შემდეგ კი თვითდაზიანებები მიიყენა. დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად თ.ტ.-ს გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა შ.ტ. 2017 წლის 8 სექტემბერს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 111-19, 108-ე მუხლით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ შ.ტ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სტამბოლის სკვერში 47 წლის ლუხუმ ჯანჯარია ყელგამოჭრილი ხეზე ჩამოკიდებული იპოვეს

თურქეთში 47 წლის საქართველოს მოქალაქე – ლუხუმ ჯანჯარია მოკლეს.

ოჯახის მონაყოლის მიხედვით, ჯანჯარია იზმირში, ერთ-ერთი ქართველის მიწვევით ჩავიდა და მას მთებში მუშაობა უნდა დაეწყო. გარდაცვლილის ოჯახის თქმით, მამაკაცს პირობები და ანაზღაურება არ მოეწონა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა, რომელიც მკვლელობით დასრულდა. ლუხუმ ჯანჯარია სტამბოლის სკვერში ყელგამოჭრილი იპოვეს. მამაკაცს სახეზე დაზიანებები და ყელი, სავარაუდოდ, ბასრი დანით აქვს გამოჭრილი.

ოჯახი ვარაუდობს, რომ ჩხუბი და მკვლელობა იზმირში მოხდა, კვალის დაფარვის მიზნით კი მოკლული მამაკაცის ცხედარი სტამბოლში წაიღეს და ხეზე ჩამოკიდეს.

ოჯახი ობიექტურ გამოძიებას თურქულ პოლიციას სთხოვს. მათი მოთხოვნაა, დაიკითხოს ის მამაკაცი, რომელმაც ლუხუმ ჯანჯარია სამუშაოდ წაიყვანა.

27 აპრილს ლუხუმ ჯანჯარია საქართველოში გადმოასვენეს. მას სარფის საბაჟოზე ოჯახის წევრები დახვდნენ.

– ექსპერტიზა ჩატარდეს და პოლიციამ გამოარკვიოს ყველაფერი. ძნელად ამოსაცნობი იყო, იმიტომ, რომ დიდი ხნის გარდაცვლილია. მოკლულია ქართველების მიერ. დაზუსტებით არაფერი ვიცი, – ამბობს გარდაცვლილის შვილი ლევან ჯანჯარია.

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ

„ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ“

27 აპრილს ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი მუნ ჟე ინი ერთმანეთს ორი ქვეყნის საზღვარზე შეხვდნენ.

მოლაპარაკებები წარიმართა სწორედ სადემარკაციო ხაზზე, რომელიც ორ კორეას ერთმანეთისაგან ყოფს.

– ეს შეხვედრა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში ისტორიულია! მალე სადემარკაციო ხაზი, რომელმაც კორეა თავის დროზე ორად გაყო, აღარ იქნება, – განაცხადა სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა.

კიმ ჩენ ინმა, თავის მხრივ, კოლეგას ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით გასეირნება შესთავაზა. მუნ ჟე ინმა ამაზე ნახევად ხუმრობით მიუგო:

– ჯერ ბირთვული განიარაღების პროცესი უნდა დასრულდეს, გასეირნება მერე!

მოგვიანებით ორი ქვეყნის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხრეთ კორეა და ჩრდილოეთ კორეა ერთმანეთის მიმართ მტრულ ქმედებებს შეწყვეტენ.

ერთობლივ დეკლარაციაში ასევე ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კორეა და სამხრეთ კორეა საერთო მიზნად კორეის ნახევარკუნძულის ბირთვულ განიარაღებას ხედავენ.

კიმ ჩენ ინი და მუნ ჩჟე ინი შეთანხმდნენ, რომ აქტიურ დიალოგს განაგრძობენ მაღალ დონეზე. ასევე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის სამხედროები შეთანხმდნენ, მუდმივად კონტაქტზე იყვნენ ერთმანეთთან, მათ შორის თავდაცვის მინისტრების დონეზე. ასევე შეიქმნება ოპერატიული კავშირგაბმულობის ერთობლივი ცენტრი.

დეკლარაციის თანახმად, მხარეები ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ, მათ შორის – ოჯახების გაერთიანებაზე.

კიმ ჩენ ინმა საერთაშორისო მედიას მიმართა და განაცხადა, რომ ორი კორეის ხალხი ერთიანია.

– ჩვენ არ ვართ ხალხი, რომელიც ერთმანეთს უნდა უპირისპირდებოდეს. ჩვენ უნდა ვცხოვრობდეთ ერთობაში. დიდხანს ვეღოდით, რომ ეს დრო დამდგარიყო, – განაცხადა ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა საერთაშორისო მედიისადმი მიმართვისას.

– ვიმედოვნებ, რომ გზას, რომელიც მე დღეს გამოვიყენე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის თითოეული მოქალაქე გამოიყენებს. ჩვენ შევძლებთ მშვიდობისა და კეთილდღეობის მიღწევას კორეის ნახევარკუნძულზე ომის საშიშროების გარეშე, – განაცხადა კიმ ჩენ ინმა.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტი მიმდინარე წლის შემოდგომაზე ვიზიტით ფხენიანს ეწვევა.

სომხეთი: საპროტესტო აქციებმა გიუმრიში გადაინაცვლა

სომხეთი ახალ პრემიერს 1 მაისს აირჩევს. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში საპროტესტო აქციები არ წყდება. ოპოზიციის ლიდერმა ნიკოლ პაშინიანმა განაცხადა, რომ ერევანში აქციები დროებით შეჩერდება. ოპოზიცია გადაინაცვლებს გიუმრიში, სადაც რუსების სამხედრო ბაზა მდებარეობს და აქციებს იქ გამართავს. პაშინიანმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მზადაა, სომხეთის პრემიერის მოვალეობის ამჟამინდელ შემსრულებელ კარაპეტიანთან მოლაპარაკებები გამართოს.

– ოღონდ ამ მოლაპარაკებებს ჟურნალისტებიც უნდა დაესწრონ, რათა საზოგადოებამ იცოდეს, თუ რის შესახებ ვილაპარაკეთ, – თქვა პაშინიანმა.

ამაზე კარაპეტიანმა უარი განაცხადა. ის ფიქრობს, რომ პრესის წინ მოლაპარაკების გამართვა უშედეგო იქნება.

მოსკოვში გაემგზავრნენ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნალბანდიანი და ვიცეპრემიერის

მოვალეობის შემსრულებელი გევორქიანი. მოსკოვში ისინი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა მიიღო. ამის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ განაცხადა:

– რუსეთი სომხეთთან დაკავშირებით ნაკისრ ყველა მოვალეობას პირნათლად ასრულებს. ეს განსაკუთრებით ყარაბახის კონფლიქტთან დაკავშირებულ ამბებს შეეხება. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სომეხი პარტნიორები თავიანთ შიდა დავას თავადვე მოაგვარებენ. რესპუბლიკაში ცხოვრებაც ნორმალურ რიტმში აღდგება! სომხეთში განვითარებულ პროცესებს რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი და ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვიც გამოეხმაურა.

მან განაცხადა, რომ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გახდება ახალი პრემიერი, სომხეთი რუსეთის გავლენის სფეროდან ვერ გავა.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია ის, რომ სახალხო გამოსვლები მოხდა ქვეყანაში, რომელიც ევრაზიული კავშირისა და ოდკბ-ს (დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა) წევრია. ამ გამოსვლებმა აიძულა პრემიერი, გადამდგარიყო.

– ეს სიგნალია რუსეთისთვის! – აცხადებს კასპაროვი.

პუტინი: „რუსეთი ტექნოლოგიურად ძალიან ჩამორჩა!“



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ტექნოლოგიურად ჩამორჩა, რაც ქვეყანაზე მტკივნეულად აისახა. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ბევრი რამ გაკეთდა. მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიურად რუსეთის არმია დასავლეთის წამყვან შეიარაღებულ ძალებს კვლავ ძალიან ჩამორჩება.

– იმედი მაქვს, ჩვენი მეცნიერები ამას გაითვალისწინებენ! ეს ჩამორჩენა რომ აღმოიფხვრას, ამისთვის ფართო დიაპაზონით მოქმედებაა აუცილებელი! – ამბობს პუტინი.

მსოფლიო რეიტინგში აშშ-ის არმია ლიდერობს. მეორეზეა ჩინეთი. რუსეთის შეიარაღებული ძალები მესამე ადგილზე არიან.

– სულ რაღაც 25 წლის წინ ჩვენი არმია მსოფლიოში ყველაზე ძლიერად ითვლებოდა. იმ დროს ახლაც ნოსტალგიით ვიგონებთ, – თქვა პუტინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტრამპი ბრიტანეთში ჩავა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ბრიტანეთს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება.

თავად ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– დიდი ბრიტანეთი, ტრადიციულად, ჩვენი ყველაზე ახლო მოკავშირეა! დღეს ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ცივი ომი გამწვავდა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა სარა სანდერსმა თქვა, რომ ტრამპი ბრიტანეთს 13 ივლისს ესტუმრება.

ჯეიმს მატისი: „აშშ სირიიდან ამჟამად არ გავა!“

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, გენერალი ჯეიმს მატისი, სენატის წინაშე წარდგა. შეკითხვაზე, რამდენად მართალია, რომ აშშ სირიიდან გასვლას აპირებს, გენერალმა მიუგო:

– ისლამური სახელმწიფო ჯერ ბოლომდე არ არის დამარცხებული. სირიაში სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებებიც მოქმედებენ. ამიტომ ჩვენი არმიის სირიიდან გამოსვლაზე საუბარი ნაადრევია.

მატისმა აღნიშნა, რომ სირიაში მყოფ ტერორისტებთან ბრძოლაში ახლო აღმოსავლეთის მეზობელი სახელმწიფოებიც უფრო აქტიურად ჩაერთვებიან.

სენატმა მაიკ პომპეოს კანდიდატურას მხარი დაუჭირა

აშშ-ის სენატმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით სახელმწიფო მდივნის პოსტზე მაიკ პომპეო დაამტკიცა. მას ხმა 57-მა სენატორმა მისცა. ყველა სენატორი რესპუბლიკელ პომპეოს მიემხრო. გამონაკლისი ჯონ მაკეინია, რომელიც თავის მშობლიურ არიზონის შტატში იმყოფება, სადაც მკურნალობის კურსს გადის. დემოკრატების ნაწილი ამტკიცებდა, რომ პომპეო ტრამპის იზოლაციონისტურ პოლიტიკას მხარს უჭერს და რუსეთთან შეთანხმებას ესწრაფვის. პომპეომ ეს უარყო.

– რუსეთის მიმართ ჩვენი პოლიტიკა უნდა გამკაცრდეს! – თქვა მან.

ამის შემდეგ სენატორმა-დემოკრატმა პომპეოს შეურიგებლობა დასდო ბრალად, ცისფრებისა და მუსლიმანების მიმართ აგრესიულად არის განწყობილიო.

მიუხედავად ამისა, პომპეომ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო.

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

იტალიაში ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაიძაბა

სტატისტიკა, ფსონები

ჩემპიონი იტალიაშია გასახოვევი. თან ხა თამაშია აპენინებზე? ინტერი-იუვენტუსი... ახლ ნაპოლის აქვს იოლი გასეირნება – ნეაპოლიტანელები ფლორენციაში ჩადიან.
ინგლისშიც სუპერმატჩია – მანჩესტერი-არსენალი... მოკლედ, ტაიგი უქმეებია...

ინგლისი

28.04 ლივერპული-სტოკი	1.28	6.0	11.0
28.04 ბარნლი-ბრაიტონი	2.15	3.1	3.6
28.04 ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი	1.8	3.5	4.5
28.04 ჰადერსფილდი-ევერტონი	2.6	3.0	2.87
28.04 კრ.პალასი-ლესტერი	2.05	3.5	3.5
28.04 საუთჰემპტონი-ბორნმუთი	1.73	3.8	4.6
28.04 სუონსი-ჩელსი	7.0	4.0	1.5
29.04 ვესტ ჰემი-სიტი	9.0	5.0	1.33
29.04 მანჩესტერი-არსენალი	1.44	4.2	7.5
30.04 ტოტენჰემი-უოტფორდი	1.14	8.0	15.0

ლივერპული-სტოკი

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლალანა, ჯოელ მატიპი, ემრე ჯანი

სტოკი: ***ტრავმ***-კონსტანტინოს სტაფილიდისი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი

ბარნლი-ბრაიტონი

ბარნლი: ***ტრავმ***-სკოტ არფილდი, სტივ დეფო, რობი ბრეიდი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი

ნიუკასლი:***ტრავმ***-კრისტიან ატსუ

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-გარეთ ბარი, ჯეიმს მორისონი

ჰადერსფილდი-ევერტონი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ელიას კაჩუნგა

ევერტონი:***ტრავმ***-მეისონ ჰოლგეითი, გილფი სიგურდსონი, ელაქუიმ მანგალა, ჯეიმს მაკკარტნი

კრ.პალასი-ლესტერი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეფ შლუპი, ბაკარი საკო, ჯეისონ პუნჩეონი, სკოტ დანი

ლესტერი: ***ტრავმ***-ვინსენტ იბორა, მეტი ჯეიმსი, დანიელ ამარტეი

საუთჰემპტონი-ბორნმუთი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯუნიორ სტანისლასი, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

სუონსი-ჩელსი

სუონსი: ***ტრავმ***-ლეროი ფერი, ვილფრედ ბონი

ჩელსი: ***ტრავმ***-დანი დრინკვოტერი, დავიდ ლუიზი

ვესტ ჰემი-სიტი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მაიკლ ანტონიო, უინსტონ რიდი, სემ ბირამი, პედრო ობიანგი

სიტი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მენდი

მანჩესტერი-არსენალი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-არავინ

არსენალი: ***ტრავმ***-ჰენრიკ მხითარიანი, სანტი კაზორლა

ტოტენჰემი-უოტფორდი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-დანი როუზი, ჰარი ვინკსი

უოტფორდი: ***ტრავმ***-ჟერარდ დეულოფე, ტომ კლეივერლი, იუნის კაბული, ნათან ჩალობა

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	34	29	3	2	98-25	90
2.მანჩესტერი	34	23	5	6	65-26	74
3.ლივერპული	35	20	11	4	80-37	71
4.ტოტენჰემი	34	20	8	6	66-31	68
5.ჩელსი	34	19	6	9	59-34	63
6.არსენალი	34	17	6	11	66-46	57
7.ბარნლი	35	14	11	10	35-32	53
8.ლესტერი	34	11	11	12	49-47	44
9.ევერტონი	34	11	9	14	39-54	42
10.ნიუკასლი	33	11	8	14	35-42	41
11.ბორნმუთი	35	9	11	15	41-58	38
12.უოტფორდი	35	10	8	17	42-60	38
13.ბრაიტონი	34	8	12	14	32-47	36
14.კრ.პალასი	35	8	11	16	36-54	35
15.ვესტ ჰემი	34	8	11	15	42-63	35
16.ჰადერსფილდი	34	9	8	17	27-54	35
17.სუონსი	34	8	9	17	27-51	33
18.საუთჰემპტონი	34	5	14	15	33-53	29
19.სტოკი	35	6	11	18	32-65	29
20.ვესტ ბრომვიჩი	35	4	13	18	29-54	25

ესპანეთი

28.04 ესპანიოლი-ლას პალმასი	1.4	4.33	8.5
28.04 სოსიედადი-ბილბაო	1.91	3.5	4.0
28.04 რეალი-ლეგანესი	1.25	6.0	11.0
28.04 ვილიარეალი-სელტა	1.73	3.8	4.6
29.04 ხეტაფე-ხირონა	2.0	3.25	4.0
29.04 ალავესი-ატლეტიკო	3.8	3.1	2.1
29.04 ვალენსია-ეიბარი	1.5	4.2	6.5
29.04 დეპორტივო-ბარსელონა	9.0	5.5	1.3
30.04 ბეტისი-მალაგა	1.44	4.4	7.0

ესპანიოლი-ლას პალმასი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-პაბლო პიატი, დიეგო ლოპესი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-მომო ფიგუერა, გაბრიელ პენალბა

სოსიედადი-ბილბაო

სოსიედადი: ***ტრავმ***-ხაბი პრიეტო, მიგელ მოია

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

რეალი-ლეგანესი

რეალი: ***ტრავმ***-ნაჩო

ლეგანესი: ***ტრავმ***-ეზეკიელ მუნიოსი, ალექსანდერ შიმანოვსკი, მარვინ მარტოვანი

ვილიარეალი-სელტა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რამირო გუერა, ლეო სუარესი

სელტა: ***ტრავმ***-ნემანია რადოია, იაგო ასპასი

ხეტაფე-ხირონა

ხეტაფე:***ტრავმ***-ლოიკ რემი, დანიელ პაჩეჩო, მარკელ ბარგარა, მაურო არამბარი

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

ალავესი-ატლეტიკო

ალავესი: ***ტრავმ***-კარლოს ვიგარაი

ატლეტიკო:***ტრავმ***-ფელიპე ლუისი

ვალენსია-ეიბარი

ვალენსია: ***ტრავმ***-სიმონე ძაძა

ეიბარი: ***ტრავმ***-ანაიც არბილია, ივან რამისი, სერხი ენრიჩი

დეპორტივო-ბარსელონა

დეპორტივო: ***ტრავმ***-სალი მუნტარი, ენეკო ბოვედა

ბარსელონა: ***ტრავმ***-არავინ

ბეტისი-მალაგა

ბეტისი: ***ტრავმ***-ანტონიო ადანი, ზუჰარ ფედალი

მალაგა: ***ტრავმ***-ფედერიკო რიცა, ხუანპი, ადალბერტო პენარანდა, ხუანკარი

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	33	25	8	0	83-19	83
2.ატლეტიკო	34	21	9	4	54-18	72
3.რეალი	33	20	8	5	80-36	68
4.ვალენსია	34	20	6	8	62-36	66
5.ბეტისი	34	17	5	12	54-53	56
6.ვილიარეალი	33	15	6	12	45-40	51
7.სევილია	33	14	6	13	41-52	48
8.ხეტაფე	34	13	9	12	39-31	48
9.ხირონა	34	13	8	13	46-52	47
10.სელტა	34	12	9	13	53-47	45
11.სოსიედადი	34	12	7	15	60-54	43
12.ეიბარი	34	12	7	15	37-47	43
13.ალავესი	34	13	2	19	34-47	41
14.ბილბაო	33	9	13	11	36-39	40
15.ლეგანესი	34	11	7	16	28-41	40
16.ესპანიოლი	34	9	12	13	28-40	39
17.ლევანტე	33	7	13	13	29-48	34
18.დეპორტივო	34	6	10	18	32-65	28
19.ლას პალმასი	34	5	6	23	22-69	21
20.მალაგა	34	5	5	24	22-51	20

გერმანია

28.04 ჰერტა-აუგსბურგი	2.05	3.25	3.7
28.04 ვოლფსბურგი-ჰამბურგი	2.15	3.2	3.5
28.04 ბაიერნი-აინტრახტი	1.6	4.2	5.0
28.04 შალკე-გლადბახი	1.91	3.5	4.0
28.04 ფრაიბურგი-კიოლნი	2.05	3.4	3.6
28.04 ლევერკუზენი-შტუტგარტი	1.44	4.5	7.0
29.04 მაინცი-ლაიფციგი	3.25	3.5	2.15
29.04 ვერდერი-დორტმუნდი	3.5	3.75	1.95

ჰერტა-აუგსბურგი

ჰერტა: ***ტრავმ***-მაქსიმილიან მიტელშტადი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-რაფაელ ფრამბერგერი, დანიელ ოპარე

ვოლფსბურგი-ჰამბურგი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ადმირ მეჰმედი, იანიკ გერჰარტი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-სვენ შიპლოკი, უოლოსი, მერგიმ მავრაი, ნიკოლაი მიულერი

ბაიერნი-აინტრახტი

ბაიერნი: ***ტრავმ***-არტურო ვიდალი, კინგსლი კომანი, არიენ რობენი, ჟერომ ბოატენგი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ანტე რებიჩი, კარლოს სალსედო

შალკე-გლადბახი

შალკე: ***ტრავმ***-მატია ნასტასიჩი

გლადბახი: ***ტრავმ***-ფაბიან ჯონსონი, პატრიკ ჰერმანი, რაულ ბობადილა

ფრაიბურგი-კიოლნი

ფრაიბურგი:***ტრავმ***-ამირ აბრაში, კალებ სტანკო, ფლორიან ნიდერლეჰნერი, მაიკ ფრანცი, იორიკ რავე

კიოლნი:***ტრავმ***-მატიას ლემანი, სალი ოზკანი

ლევერკუზენი-შტუტგარტი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ვენდელი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ანდრეას ბეკი

მაინცი-ლაიფციგი

მაინცი: ***ტრავმ***-იოშინორი მუტო, შტეფან ბელი

ლაიფციგი: ***ტრავმ***-დაიო უპამეკანო, მარსელ საბიტერი, კონდრად ლაიმერი, მარსელ ჰალშტენბერგი

ვერდერი-დორტმუნდი

ვერდერი: ***ტრავმ***-ლუდვიგ აუგუსტინსონი, არონ იოჰანსონი, ფინ ბარტელსი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მიჩი ბაშუაი, ანდრე შურლე, რაფაელ გერერო, შინჯი კაგავა

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	31	25	3	3	84-22	78
2.შალკე	31	16	8	7	49-35	56
3.დორტმუნდი	31	15	9	7	61-41	54
4.ლევერკუზენი	31	14	9	8	55-41	51
5.ჰოფენჰაიმი	31	13	10	8	60-44	49
6.ლაიპციგი	31	13	8	10	47-47	47
7.აინტრახტი	31	13	7	11	41-40	46
8.გლადბახი	31	12	7	12	42-48	43
9.ჰერტა	31	10	12	9	38-35	42
10.შტუტგარტი	31	12	6	13	29-35	42
11.აუგსბურგი	31	10	10	11	40-40	40
12.ვერდერი	31	9	10	12	34-38	37
13.ჰანოვერი	31	9	9	13	38-47	36
14.ვოლფსბურგი	31	5	15	11	30-40	30
15.მაინცი	31	7	9	15	32-49	30
16.ფრაიბურგი	31	6	12	13	26-51	30
17.ჰამბურგი	31	6	7	18	24-48	25
18.კიოლნი	31	5	7	19	31-60	22

იტალია

28.04 რომა-კიევო	1.4	4.5	8.0
28.04 ინტერი-იუვენტუსი	3.2	3.2	2.3
29.04 კროტონე-სასუოლო	2.15	3.2	3.5
29.04 ბოლონია-მილანი	4.75	3.6	1.75
29.04 ატალანტა-ჯენოა	1.3	4.8	11.0
29.04 ვერონა-სპალი	3.3	3.2	2.25
29.04 სამპდორია-კალიარი	1.83	3.6	4.2
29.04 ბენევენტო-უდინეზე	3.5	3.5	2.05
29.04 ფიორენტინა-ნაპოლი	6.5	4.0	1.53
29.04 ტორინო-ლაციო	4.5	4.0	1.7

რომა-კიევო

რომა: ***ტრავმ***-გრეგუარ დეფრე

კიევო:***ტრავმ***-მასიმო გობი, მეჰდი ლერისი, ჯანლუკა გაუდინო

ინტერი-იუვენტუსი

ინტერი: ***ტრავმ***-რობერტო გალიარდინი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-სტეფანო სტურარო, მატია დი შილიო

კროტონე-სასუოლო

კროტონე: ***ტრავმ***-აჰმად ბენალი, ანტე ბუდმირი

სასუოლო:***ტრავმ***-სტეფანო სენსი, პოლ ლიროლა, ედუარდო გოლდანიგა

ბოლონია-მილანი

ბოლონია: ***ტრავმ***-ერიკ პულგარი, ფილიპ ჰელანდერი, მატია დესტრო, გოდფრიდ დონსა, ვასილის ტოროსიდისი

მილანი: ***ტრავმ***-ჰაკან ჩაჰანოღლუ, ალესიო რომანიოლი, ანდრეა კონტი

ატალანტა-ჯენოა

ატალანტა: ***ტრავმ***-ლეონარდო სპინალოზა, ლუკა რიცო, იოსიპ ილიჩიჩი

ჯენოა:***ტრავმ***-ნიკოლას სპოლი, ადელ ტაარაბტი, სანტიაგო ჯენტილეტი, არმანდო იზზო

ვერონა-სპალი

ვერონა: ***ტრავმ***-მარსელ ბუჩელი, მარკო პოსატი, მოის კინი

სპალი: ***ტრავმ***-პასკუალე სკიატარელა, ფელიპო კოსტა, მარკო ბორიელო

სამპდორია-კალიარი

სამპდორია: ***ტრავმ***-ნიკოლა მურუ

კალიარი: ***ტრავმ***-დანიელე დესენა, დიეგო ფერიასი

ბენევენტო-უდინეზე

ბენევენტო: ***ტრავმ***-მარკო დალესანდრო, ანდრეა კოსტა, გილერმე, ლედიან მემუშაი, ლუკა ანტეი

უდინეზე: ***ტრავმ***-გაბრიელ ანგელა

ფიოორენტინა-ნაპოლი

ფიორენტინა:***ტრავმ***-გერმან პაზელა, მარკ ოსპორტიელო, სირილ ტერრო, მილან ბადელი

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ტორინო-ლაციო

ტორინო:***ტრავმ***-ჯოელ ობი, ანტონიო ბარეკა, ლიანჩო

ლაციო:***ტრავმ***-მარკო პაროლო, პატრიჩი

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	33	27	4	2	78-19	85
2.ნაპოლი	33	25	6	2	70-23	81
3.რომა	34	20	7	7	55-27	67
4.ლაციო	33	19	7	7	79-43	64
5.ინტერი	33	17	12	4	54-22	63
6.მილანი	34	15	9	10	44-38	54
7.ატალანტა	33	14	10	9	50-34	52
8.სამპდორია	33	15	6	12	51-49	51
9.ფიორენტინა	34	14	9	11	47-38	51
10.ტორინო	33	11	14	8	47-39	47
11.ბოლონია	33	11	5	17	37-44	38
12.ჯენოა	33	10	8	15	26-33	38
13.სასუოლო	34	9	10	15	25-53	37
14.უდინეზე	33	10	3	20	42-54	33
15.კალიარი	33	9	5	19	30-56	32
16.კიევო	33	7	10	16	29-51	31
17.სპალი	34	5	14	15	30-55	29
18.კროტონე	33	7	7	19	30-58	28
19.ვერონა	33	7	4	22	26-65	25
20.ბენევენტო	34	5	2	27	29-78	17

საფრანგეთი

28.04 ლიონი-ნანტი	1.3	5.0	10.0
28.04 ბორდო-დიჟონი	1.53	4.0	6.0
28.04 ტრუა-კაენი	2.25	3.2	3.3
28.04 მონაკო-ამიენი	1.2	6.5	13.0
28.04 ლილი-მეცი	1.85	3.5	4.2
28.04 სტრასბური-ნიცა	3.3	3.3	2.2
29.04 რენი-ტულუზა	1.95	3.4	4.0
29.04 ანჟე-მარსელი	4.0	3.75	1.85
29.04 პსჟ-გენგამი	1.08	10.0	26.0

ლიონი-ნანტი

ლიონი: ***ტრავმ***-მარიანო

ნანტი: ***ტრავმ***-დიეგო კარლოსი, რენე კრინი

ბორდო-დიჟონი

ბორდო: ***ტრავმ***-ალექსანდერ მენდი, ჯერომ პრიორი

დიჟონი: ***ტრავმ***-ბენჯამინ ჟანო, ხეკა, ვესლი ლაუტოა, ჟულიო ტავარეში, ფლორენ ბალმო, მეჰდი აბეიდი

ტრუა-კაენი

ტრუა: ***ტრავმ***-ტრისტან დინომე

კაენი:***ტრავმ***-კრისტიან კუკაკუ, ივან სანტინი, იუსუფ აიტ ბენასერი, ადამა მბენგუე

მონაკო-ამიენი

მონაკო: ***ტრავმ***-ჯიბრილ სიბიდე, კეიტა ბალდე, შტეფან იოვეტიჩი, ადამა ტრაორე

ამიენი: ***ტრავმ***-არავინ

ლილი-მეცი

ლილი: ***ტრავმ***-იბრაჰიმ ამადუ

მეცი: ***ტრავმ***-ბენუა ასოუ-ეკოტო, ტომას დიდილონი, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

სტრასბური-ნიცა

სტრასბური:***ტრავმ***-კენი ლალა, მარტინ ტერიერი, ნუნო და კოსტა

ნიცა: ***ტრავმ***-კრისტოფერ უალე

რენი-ტულუზა

რენი: ***ტრავმ***-ამარი ტრაორე

ტულუზა: ***ტრავმ***-არავინ

ანჟე-მარსელი

ანჟე: ***ტრავმ***-ბილი კეტკეოპომპონე, იოან ენდრიუ, პიერიკ კაპელე

მარსელი: ***ტრავმ***-სტივ მანდადა

პსჟ-გენგამი

პსჟ: ***ტრავმ***-ნეიმარი

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	33	28	3	2	103-23	87
2.მონაკო	34	21	7	6	79-44	70
3.ლიონი	34	20	9	5	77-38	69
4.მარსელი	34	20	9	5	72-41	69
5.რენი	34	13	9	12	43-41	48
6.ნიცა	33	13	8	12	44-45	47
7.მონპელიე	33	10	16	7	32-29	46
8.ნანტი	34	12	10	12	33-37	46
9.სტ.ეტიენი	33	12	10	11	38-45	46
10.გენგამი	34	12	9	13	41-49	45
11.ბორდო	33	12	7	14	39-43	43
12.დიჟონი	34	11	9	14	48-66	42
13.ამიენი	34	11	7	16	32-38	40
14.ანჟე	34	8	13	13	38-46	37
15.კაენი	34	10	7	17	24-43	37
18.ტულუზა	34	8	10	16	31-44	34
17.სტრასბური	34	8	10	16	39-61	34
18.ტრუა	33	8	5	20	27-49	29
19.ლილი	34	7	8	19	33-58	29
20.მეცი	34	6	8	20	32-65	26

ჩვენს საყვარელ
მანანა კორძაძეს
ვულოცავთ დამადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
დღეგრძელობას, ოცნებების ასრულებას!
უფალი გფარავდეს!
სიყვარულით, „ახალი თაობა“

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მამამ შვილს კბილი არბალეტით ამოუღო

ვიეტნამელმა შვილისთვის სარძევე კბილების ამოსაღებად არბალეტი გამოიყენა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი ვიეტნამის პროვინცია ლაოკაიშია გადაღებული. მამაკაცმა შვილის მოყანყალებულ კბილს ძაფი დაახვია, რომელიც არბალეტის სინაზე მიაბა. ის შვილს თითის ჩახმახისთვის გამოკვრაში დაეხმარა და, როგორც ვიდეორგოლზე ჩანს, პროცედურას დიდი დრო არ დასჭირვებია.

ამის შემდეგ ვიეტნამელმა კადრში აჩვენა შვილისთვის ამოღებული კბილი და ცარიელი ადგილი ბავშვის პირში. მათ ეს კიდევ რამდენჯერმე გაიმეორეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მამაც და შვილიც იღიმებოდნენ.

ჩინელმა ლატარიაში მილიონები გაფლანგა და ბილეთების ჯიხური დაწვა

ჩინელი სიუი ჩაო გისოსებს მიღმა ჯიხურისთვის ცეცხლის წაკიდების გამო აღმოჩნდა, რომელშიც ლატარიის ბილეთები იყიდებოდა. შვიდი წლის განმავლობაში 41 წლის შანხაის მცხოვრებმა ექვს მილიონ იუანზე მეტი დახარჯა ლატარიის ბილეთების შესაძენად. ყოველ ჯერზე მამაკაცი მინიმუმ 20 ათას იუანს ხარჯავდა.

იმისთვის, რომ ბილეთები შეეძინა, მან ჯერ საკუთარი სახლი გაყიდა, შემდეგ კი – მშობლების კიდევ სამი სახლიც. ასევე ჩაო ფულს სესხულობდა ნათესავების, მეგობრებისა და ნაცნობებისგან. ამ ყოველივეს გამო მას ცოლი გასცილდა.

დაახლოებით ოთხი წლის წინ ჩაომ ლატარიაში მილიონი იუანი მოიგო. ეს მისი ყველაზე დიდი მოგება იყო. ჩაოს ამის შესახებ არავისთვის უთქვამს და მთელი ფული ისევ ბილეთების შეძენაზე დახარჯა.

2017 წლის ოქტომბერში მან სამსახური დაკარგა და შეეცადა, ბილეთების შესაძენად ფული ლატარიის ბილეთების ჯიხურის გამყიდველისგან ესესხა, მაგრამ მან უარი უთხრა, რის მიზეზადაც მისი ძველი ვალები მოიყვანა. მაშინ ჩაომ ჯიხურს სპირტი შეასხა და ცეცხლი წაუკიდა.

სასამართლოში ჩაომ აღიარა, რომ თავის მოკვლას აპირებდა და ამიტომაც არ გაიქცა დანაშაულის ადგილიდან. მას ოთხი წლით პატიმრობა მიესაჯა.

ამერიკელს მოგებული ლატარიის ბილეთი გადაავიწყდა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ჩესტერფილდის მცხოვრებმა ჯეფ კრეტცერმა თავისი მაგიდის უჯრაში იპოვა მის მიერვე დავიწყებული ლატარიის ბილეთი, რომელსაც რამდენიმე მილიონი დოლარი ჰქონდა მოგებული.

შეძენის შემდეგ კრეტცერმა ლატარიის ბილეთი სახლში მიიტანა და მაგიდის უჯრაში შეინახა, რომ არ დაეკარგა და დაავიწყდა. ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ მან უჯრაში ბილეთი იპოვა და გადაწყვიტა, შეემოწმებინა.

მამაკაცის თქმით, მას ჯერ მოეჩვენა, რომ დამცავი ფენის ქვეშ ეწერა, რომ მან ოთხი ათასი

დოლარი მოიგო და გაიფიქრა – „რა კარგია“.

ბილეთის უფრო დაკვირვებით შესწავლის შემდეგ კრეტცერი მიხვდა, რომ შეცდა და სინამდვილეში მის მიერ მოგებული თანხა ათასჯერ მეტი იყო.

– გაოგნებული ვიყავი, – ამტკიცებს კრეტცერი, – უბრალოდ, იმ მომენტს სიტყვებით ვერ გადმოვცემ.

მოგებულმა თანხამ ოთხი მილიონი დოლარი შეადგინა. მაღაზია, რომელშიც კრეტცერმა ბილეთი შეიძინა, ლატარიის გათამაშების ორგანიზატორისგან წახალისების სახით 10 ათას დოლარს მიიღებს.

ადამიანს დამსგავსებულმა მაიმუნმა გამვლელები შეაშინა

ინდონეზიაში მანქანის მძღოლმა ვიდეოზე გადაიღო მათხოვარი-მაიმუნი, რომელიც პატარა გოგონასავით იყო გამოწყობილი.

ინციდენტი ქალაქ ბოგორის ერთ-ერთ გზაზე მოხდა. ვიდეორგოლზე ჩანს პატარა მაიმუნი, რომელიც კისერზე შებმული თოკით გზისპირა ბოძზეა მიბმული და გამვლელებს სათლს უშვერს ფულის შესაგროვებლად. ცხოველს ვარდისფერი კომბინეზონი ეცვა და გოგონას ნიღაბი და მზის სათვალე ეკეთა. ეს ყველაფერი მუსიკის თანხლებით ხდებოდა.

აღნიშნული ვიდეო ფართოდ გავრცელდა სოციალურ ქსელებში. ინტერნეტმომხმარებლების უმეტესობას მაიმუნი შეეცოდა, ხოლო ზოგიერთს შეეშინდა კიდეც.

მაიმუნების ნიღბებით გამოსვლა ტრადიციულ ქუჩის გამოსვლად ითვლება ინდონეზიაში. ჩვეულებრივ, ცხოველები ცეკვავენ ან ველოსიპედს ატარებენ. 2013 წელს მსგავსი წარმოდგენები ქვეყნის დედაქალაქ ჯაკარტის ქუჩებში აიკრძალა.

ASTROPROGNOZI

28 აპრილისთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა დაშვებული შეცდომების გასაანალიზებლად. ახალი ნაცნობობა თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. **კურო** – ბიზნესმენებისათვის საკმაოდ იღბლიანი და ნაყოფიერი დღეა. მოულოდნელი სასიხარულო ინფორმაცია გაგახალისებთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლებს გაგიმართლებთ. ოცნება აგისრულდებათ. **კირჩხიბი** – დღეს საშუალება გეძლევათ, ჩანაფიქრს ხორცი შეასხათ. ახალ შემოთავაზებებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ.**ლომი** – იოლად ნურავის მიენდობით, თორემ მოგატყუებენ. მხოლოდ პირადი ინტერესებით ნუ შემოიფარგლებით. **ქალწული** – სასიცოცხლო ძალები სწორად წარმართეთ. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. **სასწორი** – იღბლიანი დღეა. შემოსავალი გეზრდებათ. ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით დაძაბული ხართ. საღამოს ხასიათს ბავშვებთან ურთიერთობა გამოგიკეთებთ.**მშვილდოსანი** – საკუთარი ინტერესების დასაცავად მთელი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა სხვა დროისათვის გადადეთ.**თხის რქა** – ემოციური განახლების დღეა. ახალ იდეებს ნუ უგულებელყოფთ. **მერწყული** – საქმიან პარტნიორებთან კონტაქტი კეთილისმყოფელია. მიზანს მიაღწევთ. **თევზები** – დროა, უახლოეს გარემოცვას ფხიზლად დააკვირდეთ და, საჭიროების შემთხვევაში, მასში კორექტივები შეიტანოთ. დაუფიქრებლად ნურაფერს გადაწყვეტთ.

29 აპრილისთვის

ვერძი – ნუ იქნებით აგრესიული, განსაკუთრებით – ახლობლების მიმართ. რთული დღეა.**კურო** – ენერგეტიკულად საკმაოდ მძლავრი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. **ტყუპები** – დღეს საკუთარი პრინციპების დაცვა ნებისმიერ ფასად მოგიწევთ. წინდაუხედაობა თქვენს ავტორიტეტზე უარყოფითად აისახება. **კირჩხიბი** – შესაფერისი დღეა მივლინებებისათვის, ქალაქიდან გასასვლელად. საკვები ყურადღებით შეარჩიეთ.**ლომი** – დაძაბული დღეა, დატვირთული მღელვარე მოვლენებით. ახლობელთან ურთიერთობა ჩიხში შედის. **ქალწული** – მოსალოდნელია ფინანსური სირთულეები. დანახარჯი დიდია. სხვის რჩევებს ყური არ უგდოთ. **სასწორი** – ამაღლებული განწყობა გაქვთ, რაც თქვენს საქმიანობაზე დადებით გალენას მოახდენს. კომერციული ოპერაციები გაამართლებს. **ღრიანკალი** – ძალზე მშვიდი, კეთილისმყოფელი პერიოდია. სამსახურში ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ნებისმიერი საქმიანობა სიხარულს მოგანიჭებთ. **თხის რქა** – დაკავდით სპორტით. უარყოფითი ენერგიისაგან გათავისუფლება გჭირდებათ, რაშიც ნებისმიერი სახის ფიზიკური შრომა დაგეხმარებათ. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა ექსპერიმენტებისა და კომერციული ოპერაციებისათვის. ახლობლებთან საუბარში მეტი დელიკატურობა გმართებთ. **თევზები** – უცნობი ადამიანების აგრესიას აგრესიითვე თუ უპასუხებთ, კონფლიქტი არ აგცდებათ. იყავით თავშეკავებული და ტაქტიანი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

შვეულმფრენის ჩამოვარდნის ადგილზე მამაკაცს ზევიდან მეორე შვეულმფრენი დაეცა

ინჟინერს, რომელიც კოლუმბიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე მთებში შვეულმფრენის ჩამოვარდნის ადგილზე მუშაობდა, ზევიდან მეორე შვეულმფრენი დაეცა.

პოლიციის ინფორმაციით, პირველი შვეულმფრენის ჩამოვარდნის მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა გახდა. მისი ტვირთის გადასატანად შემთხვევის ადგილზე მეორე შვეულმფრენი იქნა გაგზავნილი, მაგრამ გაუმართაობის გამო ისიც ჩამოვარდა.

ინციდენტი ვიდეოზე იქნა გადაღებული. კადრებში ჩანს, რომ შვეულმფრენი მიუახლოვდა ნამსხვრევებს, რომლებიც პირველი კატასტროფის შედეგად იყო დარჩენილი. ერთი ადამიანი მათზე იდგა, მეორე მიწიდან ხელებს იქნევდა. მანქანა მათ ზევით მცირე სიმაღლეზე დაეკიდა, შემდეგ კი მოულოდნელად გადაიხარა და ჩამოვარდა.

ამ ინციდენტის შედეგად ერთი ადამიანი, ინჟინერი დაიღუპა, რომელიც კოლუმბიაში შვეულმფრენებით გადაზიდვებით იყო დაკავებული. მეორე შვეულმფრენის ეკიპაჟი და ტექნიკური პერსონალი, რომელიც შემთხვევის ადგილზე მუშაობდა, არ დაშავებულან. პირველი შვეულმფრენის ეკიპაჟის მდგომარეობის შესახებ არაფერია ცნობილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 2. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ანსამბლი; 3. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 4. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მონღოლეთში; 6. უნგრული წვნიანი კერძი; 9. ლირიკული სიუჟეტის ზანგური სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა; 11. ჩინელი ფილოსოფოსი; 15. დედამიწის ქერქი, მტკიცე გარსი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. ყოველმხრივ უზრუნველი, მდიდრული ცხოვრება; 19. რაიონული ცენტრი მესხეთში; 21. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 22. ახალციხის ისტორიული ნაწილი.

თარაზულად: 5. იარაღის საწყობის ძველებური სახელწოდება; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 8. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 10. სარეკლამო ლოზუნგი; 12. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ფინეთის მეორე სახელწოდება; 14. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. ავსტრიელი მწერალი; 20. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული; 23. გოეთეს ტრაგედია; 24. მსუბუქი, ფოროვანი სამშენებლო მინერალი; 25. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 26. ისტორიული სამთავრო მესხეთში; 27. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია „კოკა-კოლას“ სათაო ოფისი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ცერცვაძე; 2. „ოსასუნა“; 3. ქლესა; 4. თაღლითი; 5. „გერნიკა“; 10. დუმპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. ოპტანტი; 15. ფენოლოგია; 16. „ფრესკო“; 17. ფსირცხა; 20. მამნე.

თარაზულად: 6. მეფისტოფელი; 7. ტანკერი; 8. დიაფანი; 9. მადონა; 13. ტაბუ; 14. ჯულეპი; 18. ბაბანეური; 19. ესაძე; 21. რამლი; 22. კონცხი; 23. კარბონადო; 24. სპანიელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პიკეტი; 2. მაზდა; 3. სპაზმი; 4. მუღამი; 6. მორიელი; 9. თართი; 11. „ბარამბო“; 15. სენკევიჩი; 16. ესკიზი; 17. ქაშანური; 19. იქთიოლი; 21. ბალზამი; 22. ტონიკი.

თარაზულად: 5. ვიქტორია; 7. ოოლოგია; 8. მღვიმე; 10. კაჭკაჭი; 12. მონჟი; 13. ურანი; 14. ზეთისხილი; 18. ამანი; 20. ასუანი; 23. პოკერი; 24. ლელო; 25. „რუზინე“; 26. კიჩო; 27. იმერეთი.

შოთა ლეგაშვილი: „რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ეს არის მუსიკა“

მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ ერთ-ერთი მონაწილე 21 წლის შოთა ლეგაშვილია. მისთვის ამ ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიამოვნების მომტანი მუსიკაა.

შოთა ლეგაშვილი:

– ქართული სიმღერებიდან გამორჩეულად მიყვარს გია ყანჩელის „ყვითელი ფოთლები“. რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ეს არის მუსიკა. ადამიანის ცხოვრება კი საკმაოდ ხანმოკლეა იმისთვის, რომ ის საქმე არ აკეთოს, რაც გულით უნდა.

– რატომ გადაწყვიტეთ ამ კონკურსში მონაწილეობა?

– „მხოლოდ ქართულში“ მოსვლა მუსიკის დიდმა სიყვარულმა გადამაწყვეტინა. მინდა უფრო დიდი დრო დავუთმო ამ საქმეს და ჩემს პროფესიად ვაქციო. ყველაზე მეტად კი ის მიხარია, რომ ნამდვილ პროფესიონალებთან ვიმუშავებ და შევძლებ განვავითარო ჩემი შესაძლებლობები.

– რა შეგიძლიათ თქვათ საკუთარ თავზე?

– ჩემს თავზე საუბარი არ მიყვარს, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ვარ მელომანი. მუსიკის გარდა მომწონს ხატვა და თეატრი. ვთამაშობ თელავის უნივერსიტეტის თეატრალურ სტუდიაში.

ალეკო ბერძენიშვილი: „კარგი მუსიკალური არხი უშველის ქართულ მუსიკალურ ინდუსტრიას?“

მომღერალი და მუსიკოსი ალეკო ბერძენიშვილი ქართული მუსიკალური ინდუსტრიის არასახარბიელო მდგომარეობით შეწუხებულია და მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით გამოსავლს ეძებს.

ალეკო ბერძენიშვილი:

– როგორ ფიქრობთ, კარგი მუსიკალური არხი უშველის ქართულ მუსიკალურ ინდუსტრიას?

– მუსიკალური არხი არის მგონი, მაგრამ არაა რეიტინგული, იქნებ ეგაა პასუხი?

– იქნებ უბრალოდ აღარ გვინდა ქართული მუსიკა?

თუ მე არ ვარ საქმის კურსში და ქართულ მუსიკალურ არხს უყურებენ?

– სომხური ემტივი ხომ არსებობს, როგორც ვიცი, ამას ლიცენზიის ფული უნდა?

– რავა არაფერი აღარ გვაინტერესებს, კაცო...

დავით საყვარელიძე: „ფეხბურთს იმ 200 მილიონიდან 10 მილიონი ჩამოვართვათ და ქართულ კინოს გადავცეთ!“

ამ ინიციატივით რეჟისორი დავით საყვარელიძე გამოდის:

– ხომ ხედავთ, ქართულმა ფილმებმა რამხელა წარმატება მოუტანა ქვეყანას?! ნატო მურვანიძემ უკვე მერამდენე პრიზი აიღო! ყველას ვულოცავ!

მაქვს იდეა: ფეხბურთს იმ 200 მილიონიდან 10 მილიონი ჩამოვართვათ და ქართულ კინოს გადავცეთ! ფეხბურთს დარჩება 190 მილიონი, ხოლო ქართულ ფილმს 10 მილიონით გაეზრდება ბიუჯეტი. ყველა კმაყოფილი დარჩება. ფეხბურთის მსაჯები კინოში გადავიყვანოთ.

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოსა და აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოების დამსახურებული მუშაკი, წარსულში აფხაზეთის იუსტიციის საბჭოს მდივანი, პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის უფროსის მოადგილე, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ჭეშმარიტი პატრიოტი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

ვალერი შაკაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ვაჟა-ფშაველას პრემიის მისაღებად კონკურსი გამოცხადდა

რამდენიმეწლიანი მოლოდინის შემდეგ ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადდა. მწერლისა და პოეტის სახელობის პრემიაზე საუბარი ჯერ კიდევ 3 წლის წინ დაიწყო. სხვადასხვა მიზეზის გამო, პრემიის დაარსება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, კონკურენტული საკითხები კი ვერ ჩამოყალიბდა.

ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა შესაბამისი ბრძანებულებით შოთა რუსთაველის სახელობის პრემიასთან ერთად კონკურსი ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიაზეც გამოაცხადა.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია პირს ენიჭება ლიტერატურის, მუსიკის, კინოხელოვნების, თეატრალური ხელოვნების, სახვითი ხელოვნების ან არქიტექტურის დარგში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომლის მხატვრულმა ღირსებებმა საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და განმსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გაიცემა 3 წელიწადში ერთხელ, არა უმეტეს ხუთისა, თითოეული 10.000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიას, მიენიჭება შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება, გადაეცემა ლაურეატის დიპლომი, სამკერდე ნიშანი და შესაბამისი ფულადი გასაცემელი.

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია პირს ენიჭება ლიტერატურის დარგში, იქნება ეს პროზა, პოეზია თუ პუბლიცისტიკა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებ(ებ)ისათვის, რომელიც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნულ აღიარებას მოიპოვებს და განმსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით. ლიტერატურის დარგში ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია გაიცემა 2 წელიწადში ერთხელ, არა უმეტეს ერთისა, 5.000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს ლიტერატურის დარგში ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიას, მიენიჭება ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება, გადაეცემა ლაურეატის დიპლომი, სამკერდე ნიშანი და შესაბამისი ფულადი გასაცემელი.

საქართველოს სახელმწიფო ჯილდო – პრემია, როგორც წესი, ენიჭება საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პრემია შეიძლება მიენიჭოს უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს. პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ შესაბამისი ავტორიტეტისა და კომპეტენციის მქონე იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნების ან ლიტერატურის სფეროში. პრემიის მოსაპოვებლად შესაძლოა წარდგენილი იყოს ავტორთა ჯგუფი ან თანაავტორები. პირი არ შეიძლება წარდგენილი იყოს ორი პრემიის მოსაპოვებლად ერთი ნაწარმოებისათვის. პრემია შეიძლება მიენიჭოს გარდაცვლილ შემოქმედს ან ავტორს იმ შემთხვევაში, თუ მისი ნაწარმოები გამოქვეყნდა საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულებამდე და აკმაყოფილებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ პირობებს. ლიტერატურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ. მუსიკის, კინოხელოვნების, თეატრალური ხელოვნების, სახვითი ხელოვნების ან არქიტექტურის დარგში ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მას შემდეგ, რაც მას გაეცნობა ფართო საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, კინოთეატრებში, პრესის, რადიოს თუ ტელევიზიის საშუალებით. არქიტექტურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ.

ლიტერატურის დარგში ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მისანიჭებლად საკონკურსოდ დაიშვება საკონკურსო წლამდე 5 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ორიგინალური ნაწარმოები. დაუშვებელია ერთი და იმავე ნაწარმოების განმეორებით წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები საკონკურსოდ დაშვებული არ იქნა ტექნიკური ხარვეზის გამო.

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან პირველი მაისის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ლელა რაზიკაშვილი, *ვაჟა-ფშაველას შთამომავალი:*

– როგორც იქნა!

იდეა და მიზანი უფრო მასშტაბური გვქონდა!

ვაჟას ეროვნული პრემია ლიტერატურის დარგის მხარდაჭერისა და სტიმულირების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა უნდა ყოფილიყო, უფრო სოლიდური დაფინანსებით, მაგრამ ამდენი შრომის შედეგი რომ გამოვიდა ინსტიტუციური კინკლაობის სივრციდან და მზის სინათლე ნახა, მიხარია!

ძალიან მიხარია, ისე, როგორც საკუთარი დაბადების დღე!

ზუსტად ისე მიხარია, როგორც ვაჟას პრემიით შემოსილ ავტორებს გაეხარდებათ ეს ჯილდო!

ისე, როგორც საკუთარი შრომის ნაყოფი!

გილოცავთ ყველას, ვინც იბრძოდით ამ შედეგისთვის!

გილოცავთ ყველას, ვინც დღეს ან ოდესმე ამ ჯილდოს ღირსი იქნებით!

...ხოოო, საყვედურებიც მაქვს, მაგრამ მერე... ამისი დროც იქნება.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარიკა ლორთქიფანიძის სახელობის აუდიტორია შეიქმნება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ისტორიკოსის მარიკა ლორთქიფანიძის სახელობის აუდიტორია შეიქმნება. ინფორმაცია უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ გააკეთა:

– მარიკა ლორთქიფანიძის ღვაწლი, რომელიც უნივერსიტეტში 70 წლის განმავლობაში გასწია, უმნიშვნელოვანესია. მან აღზარდა თაობის გამორჩეული ისტორიკოსები და არის 200-მდე მონოგრაფიისა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარიკა ლორთქიფანიძის სახელობის აუდიტორია შეიქმნება. ისტორიის მიმართულების წარჩინებული სტუდენტები კი მისი სახელობის სტიპენდიას მიიღებენ. უნივერსიტეტში ჩატარდება ახალგაზრდა ისტორიკოსთა ყოველწლიური კონფერენცია, რომლის პირველი წელი დამოუკიდებლობას და პირველი რესპუბლიკის შექმნას მიეძღვნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ძაღლი გატაცებული მანქანით მაღაზიაში შევარდა

ჩინეთში ძაღლი მაღაზიაში თავისი პატრონის სატვირთო მანქანით შევარდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ჩინეთის ჩჟეცზიანის პროვინციის ქალაქ ტაიჩჟოუში მოხდა. პატარა სატვირთო მანქანა, რომლის საჭესთან ძაღლი აღმოჩნდა, მობილური ტელეფონების მაღაზიაში შევარდა და ერთ-ერთი დახლი გადააყირავა. საბედნიეროდ, მაღაზიის არცერთი მომხმარებელი და თანამშრომელი არ დაშავებულა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ სატვირთო მანქანა ხილის დახლთან იყო გაჩერებული, რომელიც მაღაზიის შორიახლოს მდებარეობს. მძღოლმა თავისი ძაღლი დაქოქილ მანქანაში დატოვა, თავად კი მაღაზიაში შევიდა. ცხოველმა თათი შემთხვევით სატერფულს დააჭირა, მანქანა დაიძრა და შედეგად მაღაზიაში აღმოჩნდა.

კამბოჯელმა ურჩი სპილო შიმშილით მოკლა

კამბოჯელმა 35 წლის სპილო, რომლის დასჯა და საკუთარი ნებისთვის დამორჩილება სურდა, შიმშილით სიკვდილის პირას მიიყვანა.

ცხოველმა, სახელად ბეონგ კოკმა, თავისი პატრონის განრისხება იმით გამოიწვია, რომ სახლიდან გაიქცა და სენმონორომის ოლქის ერთ-ერთ სოფელში სრული ქაოსი მოაწყო, რამდენიმე სახლი დააზიანა. სპილოს დაჭერა მხოლოდ ორდღიანი დევნის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამის შემდეგ პატრონმა გადაწყვიტა, ცხოველისთვის ჭკუა ესწავლებინა და ერთი თვის განმავლობაში მისთვის საკვები არ მიუცია. ის იმედოვნებდა, რომ დასუსტებული ბეონგ კოკი უფრო დამჯერი გახდებოდა, მაგრამ სპილო დასუსტდა და შიმშილისგან მოკვდა.

სპილოების დაცვის ადგილობრივი ორგანიზაციის თანამშრომელმა ხან დიონმა განაცხადა, რომ ცხოველს გაქცევის დროს არავინ დაუშავებია და მისი დასჯა მისი ნამოქმედარის მიმართ არაადეკვატური იყო.

– ჩვენ მისი გადარჩენა ვერ შევძელით, ვინაიდან მას აღარც ძალა ჰქონდა და აღარც საკვები. ძალიან სამწუხაროა, რომ სპილო დავკარგეთ, – აღნიშნა მან.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4787

ევრო — 3.0243

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4568

100 რუსული რუბლი — 4.0102

ამინდის პროგნოზი 28 აპრილისთვის

ტრანსგენდერმა, რათა თოჯინას დამსგავსებოდა, დიდი რაოდენობით თანხა დახარჯა

გერმანელმა ტრანსგენდერმა მთელი ქონება დახარჯა იმისთვის, რომ თოჯინას გარეგნობა ჰქონოდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან დაახლოებით 20 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა.

ივანა ვლადისლავა ბერლინში დაიბადა და 11 წლის ასაკიდან ქალის ჰორმონებს იღებდა და ქალის ტანსაცმელს იცვამდა. ამჟამად ის დომინათრიქსად მუშაობს, რათა მრავალრიცხოვანი პროცედურებისთვის თანხა შეაგროვოს. სულ ვლადისლავამ ხუთი პლასტიკური ოპერაცია გადაიტანა ცხვირზე, რვა ლიპოსაქცია, მკერდის გადიდება, ასევე ნიკაპის ფორმის, შუბლისა და წარბების კორექტირება. მის უახლოეს გეგმაშია დუნდულების გადიდება. ამ ყველაფერზე მან 125 ათასი ევრო დახარჯა.

ვლადისლავა საკუთარ გატაცებას პლასტიკური ოპერაციებით იმით ხსნის, რომ სურს, მამაკაცებს მოსწონდეს.

– მინდა, ისე სუფთად და ქალურად გამოვიყურებოდე, რამდენადაც შესაძლებელია, ხოლო ჩემი შესანიშნავი სხეული და სახე ბედნიერებას მანიჭებს, – აღიარა ვლადისლავამ.

მისი თქმით, მან პლასტიკატის თოჯინა სამაგალითოდ იმიტომ მიიჩნია, რომ ის „იდეალურია და არ დაიმტვრევა“. ის გეგმავს ოპერაციების გაკეთებას მანამდე, სანამ საკუთარი გარეგნობით საბოლოოდ არ დაკმაყოფილდება.

სელფის გადაღების დროს გოგონებს ხიდი ჩაენგრათ

ბრაზილიის პიაუის შტატში რკინიგზის ხიდის ნაწილი იმ დროს ჩაინგრა, როცა მასზე ადამიანები იმყოფებოდნენ.

ამ შემთხვევის შედეგად დაშავდნენ 22 წლის გოგონა და მისი 15 და 16 წლის მეგობრები, რომლებიც ხიდზე სურათის გადასაღებად მივიდნენ. სელფის გადაღებიდან რამდენიმე წამში ხიდის ის ნაწილი, რომელზეც გოგონები იდგნენ, ჩაინგრა და გოგონები ძირს ჩაცვივდნენ.

სამივე 10 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და ფეხები მოიტეხეს. კიდევ ხუთი ადამიანი, რომლებიც ასევე ხიდზე იმყოფებოდნენ, მისი ჩანგრევის მომენტისთვის არ დაშავებულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უნაი ემერი პსჟ-ს მწვრთნელი აღარ იქნება

უნაი ემერიმ ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში პსჟ-ს მწვრთნელი აღარ იქნება. ემერის ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება და მასთან ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებენ.

პსჟ-ში ესპანელმა სპეციალისტმა ორი სეზონი გაატარა და ვერ შესძლო ჩემპიონთა ლიგაში თავის გუნდთან ერთად წარმატების მიღწევა, რის გამოც ის დატოვებს კიდეც თანამდებობას. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება პარიზული გუნდის ახალი დამრიგებელი. ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება.

ლუი ვან გაალმა შესაძლოა სამწვრთნელო კარიერა განაახლოს

ცნობილმა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუი ვან გაალმა შესაძლოა თავისი კარიერა განაახლოს. ერთ-ერთ ინტერვიუში ვან გაალმა განაცხადა, რომ მან საინტერესო წინადადება მიიღო, რომელზეც უარს ვერ იტყვის, თუმცა გუნდის სახელი არ დაუკონკრეტებია.

ვან გაალის ბოლო სამუშაო ადგილი მანჩესტერ იუნაიტედი იყო, სადაც მან წარმატებას ვერ მიაღწია და 2016 წელს ის გაანთავისუფლეს. ზოგადად კი ლუი ვან გაალს ძალიან წარმატებული სამწვრთნელო კარიერა ჰქონდა.

იუმორი

ერთი რუსი მეორეს ეუბნება:

– ჩვენი პრეზიდენტი შთამბეჭდავი, თუმცა განსაკუთრებულია.

– მაინც რით გამოიხატება ეგ განსაკუთრებულობა?

– აშშ-ში ჩავიდა და ამის შემდეგ მილიცია პოლიციად გადააკეთა, სინგაპურში ჩავიდა და ამის შემდეგ გადაწყვიტა, რომ 22.00 საათის შემდეგ დენი გამოგვირთოს. ახლა მხოლოდ იმაზე ვლოცულობთ, რომ ებრაელების აბანოში არ შეუშვან. ქვეყანა ამას ვერ გადაიტანს.

•••

ექიმი მილიონერის ცოლს, რომლის მეუღლე სიკვდილის პირასაა, ეუბნება:

– ყველაფრისთვის მზად უნდა იყოთ.

– ყველაფერზე პრეტენზია არ მაქვს. უკეთეს შემთხვევაში, ნახევარზეც თანახმა ვარ.

•••

ბიჭმა გოგონას შეტყობინება გაუგზავნა:

– ეს აბონენტი ცოლად გაყოლას გთხოვთ.

მიიღო პასუხი:

– პატივცემულო აბონენტო, ამ ოპერაციის შესასრულებლად ანგარიშზე საკმარისი თანხა არ გაქვთ.

•••

დაწესებულების ხელმძღვანელმა ხელქვეითები დაიბარა და განუცხადა:

– სამწუხაროდ, ერთ-ერთი თქვენგანის სამსახურიდან დათხოვნა მომიწევს!

– მე ვერ გამათავისუფლებთ, ეს რასობრივი დისკრიმინაცია იქნება, – განუცხადა ზანგმა თანამშრომელმა.

– ვერც მე გამათავისუფლებთ! ეს სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია იქნება! – განაცხადა ქალმა თანამშრომელმა.

– აბა ერთი ცადე და გამათავისუფლე, – ეუბნება უფროსს ხანდაზმული თანამშრომელი, – სასამართლოში გიჩივლებთ ასაკობრივი დისკრიმინაციისთვის.

ამ დროს ყველა ახალგაზრდა თანამშრომლისკენ შეტრიალდა.

– მმმ... მეეე... მე, მგონი, ცისფერი ვარ...!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუბეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

თან საკითხავი

19 აპრილიდან

120 ამბავი ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ინიესტა სეზონის ბოლოს ბარსელონას დატოვებს

ანდრეს ინიესტამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც გამოაცხადა, რომ მომავალ სეზონში ის ბარსელონას ფეხბურთელი აღარ იქნება და ეს ოფიციალურია.

ინიესტამ თქვა, რომ ბარსელონაში დაუვიწყარი პერიოდი ჰქონდა და ყოველთვის ბარსელონას გულშემატკივარი იქნება:

– ბარსელონას დავემშვიდობები, მაგრამ ჩემი გული აქ დარჩება. ყველა იმ ადამიანის მადლობელი ვარ, ვინც ამ წლების მანძილზე მეხმარებოდა. სადაც არ უნდა ვიყო, ბარსელონა ყოველთვის მეყვარება. ინიესტას თავისი მომავალი კლუბი არ დაუსახელებია, თუმცა თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის კარიერას ჩინეთში გააგრძელებს.

ბარსელონაში ინიესტამ 14 წელი გაატარა და 30-ზე მეტი ტიტული მოიგო.

ანტუან გრიზმანი: „სხვა გუნდთან მოლაპარაკებას ვაწარმოებ“

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა აღიარა, რომ ის სხვა გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, თუმცა ამ გუნდის ვინაობა არ დაუსახელებია.

გრიზმანმა ზუსტად არ იცის, დარჩება თუ არა ატლეტიკოში.

– მადრიდში თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მინდა, რომ უფრო წინ წავიდე, ამიტომ არ ვიცი, დავრჩები თუ არა ატლეტიკოში. სხვა გუნდთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებ და ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს მოლაპარაკებები. ჯერჯერობით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, – განაცხადა ანტუან გრიზმანმა.

გრიზმანის შეძენით ბარსელონაა დაინტერესებული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. იაპონიაში განთავსებული, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 2. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 3. ჩინური ფინიკი; 4. ფრანგი კომიკოსი; 5. ეგვიპტელი ქრისტიანები; 10. ერთ-ერთი ხმა ქართულ მრავალხმიან სიმღერაში; 11. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის სუფრის ჯიში; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. წყლის საათი; 16. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 17. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 20. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 6. მონასტერი ბოლნისის რაიონში; 7. მდინარე ნიუ იორკში; 8. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 9. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 14. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 18. საფოსტო გზავნილება; 19. აკვიატებული შიში; 21. მზის სისტემის პლანეტა; 22. საქარხნო ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 23. ღვინის დუქანი ძველ თბილისში; 24. ირანის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა